სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი

სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი

აკადემიური წლის ანგარიში

2019-2020 აკადემიური წელი

ელ-ფოსტა: info@sabauni.edu.ge

ვებ-გვერდი: www.sabauni.edu.ge

ტელ: (+995 32) 2 42 22 42

მისამართი: კ. ქუთათელაძის ქ. №3, თბილისი, 0186

შინაარსი

ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი 4
სამართლის ფაკულტეტი 11
ბიზნესის და ტურიზმის ფაკულტეტი 29
საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური 39
სასწავლო პროცესის მართვის სამსახური 50
ბიბლიოთეკა 53
უცხო ენების ცენტრი 56
ხარისხის მართვის სამსახური 58
სტუდენტურ საქმეთა სამსახური 62
ადამიანური რესურსების მართვის სამსახური 74
იურიდიული სამსახური 80
საზოგადოებასთან ურთიერთობის და მარკეტინგის სამსახური 81
ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის სამსახური 84
პროექტების მართვა 85
აკადემიური კვლევის შეფასების და განვითარების სამსახური 87

ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

2019-2020 სასწავლო წელი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ფაკულტეტისათვის, რადგან ფაკულტეტის ადმინისტრაციის, აკადემიური და მოწვეული პერსონალის, უნივერსიტეტის სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულის აქტიური ჩართულობით თეოლოგიის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებმა მიიღო სრული 7 წლიანი აკრედიტაცია.

საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის რეაკრედიტაციის პროცესის ფარგლებში მოხდა პროგრამის მოდიფიცირება, მომზადება და შესაბამისი სამუშაოების ჩატარება ფაკულტეტის ადმინისტრაციის, აკადემიური და მოწვეული პერსონალის, უნივერსიტეტის სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულის წარმომადგენლების მიერ.

ფაკულტეტის ადმინისტრაციის, აკადემიური და მოწვეული პერსონალის, უნივერსიტეტის სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულის წარმომადგენლების მიერ აკრედიტაციის მისაღებად მომზადდა პოლიტიკის მეცნიერების, სოციოლოგიისა და ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამები. პროგრამებში ცვლილებების შეტანისა და რეაკრედიტაციის პროცესის ფარგლებში განახლდა შესაბამისი ლიტერატურა. გარდა ამისა, მოხდა ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდისა და ელ.რესურსების გამდიდრება.

სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ადმინისტრაციამ, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალსა და სტუდენტების აქტიური ჩართულობით, მიზნად დაისახა სხვადასხვა სახისა და შინაარსის ექსტრაკურიკულუმის აქტივობისა და სამეცნიერო ღონისძიებების განხორციელება.

აღნიშნული დოკუმენტი მოიცავს ფაკულტეტის საქმიანობის ანგარიშს 2019-2020 სასწავლო წლის ორივე სემესტრის მოცემულობით. აღსანიშნავია, რომ ფაკულტეტის მიერ დაგეგმილი და განხორციელებული აქტივობები უნივერსიტეტის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმიდან გამომდინარეობს და სრულ შესაბამისობაშია.

შესრულდა თითქმის ყველა დასახული მიზანი რამდენიმე, კერძოდ, ოთხი აქტივობის გამოკლებით, რომელთა არგანხორციელება პირდაპირკავშირშია COVID 19-ით გამოწვეულ პანდემიასთან. თუმცა, განხორციელდა რიგი აქტივობები, რომლებიც დაგეგმილი არ იყო.

პანდემიიდან გამომდინარე ღონისძიებები დისტანციურად, აპლიკაციების ZOOM და Hangouts Meet-ის საშუალებით განხორციელდა. საგულისხმოა, რომ ის აქტივობა, რომელიც პანდემიის გამო ვერ განხორციელდა, 2020-2021 სასწავლო წლის საშემოდგომო სემესტრში განხორციელდება.

ფაკულტეტის ადმინისტრაცია კომპეტენციის ფარგლებში აქტიურად არის ჩართული რეალური ავტორიზაციის მომზადების პროცესში;

საქმიანი კომუნიკაცია დამყარდა ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან. კერძოდ, დაიდო ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი საქართველოში არსებულ გრიგოლ პალამას თეოლოგიისა და ფილოსოფიის საერთაშორისო ინსტიტუტთან, აღნიშნული მემორანდუმის საფუძველზე საბაუნიში შეიქმნა თეოლოგიისა და ფილოსოფიის კვლევითი ინსტიტუტი; თეოლოგიისა და ფილოსოფიის კვლევითმა ინსტიტუტმა გააგზავნა საპროექტო განაცხადი ჯონ ტემპლტონის ფონდში (აშშ).

მსოფლიო პატრიარქის მიწვევით 23 ნოემბერს შედგა აუდიენცია მსოფლიო პატრიარქ ბართლომეოს I-თან, სადაც განხილულ იქნა საკითხები სამომავლო თანამშრომლობისათვის;

საქმიანი კომუნიკაციისა და ურთიერთთანამშრომლობის მიზნით გაიმართა შეხვედრა ვენაში, ეფრემ ასურის სახელობის თეოლოგიის ინსტიტუტის წარმომადგენლობასთან. გაღრმავდა კომუნიკაცია ვატიკანის საელჩოსთან, პოლონეთის საელჩოსთან და ავსტრიის საელჩოსთან;

რიგ შემთხვევაში დამყარდა და რიგ შემთხვევაში გაღრმავდა ურთიერთობა შემდეგი საერთაშორისო ორგანიზაციებთან

საერთაშორისო თანამშრომლობა:

1. IFCU – International federation of catholic Universities
2. FUCE – Federation of European Catholic Universities
3. Easter European University Network
4. The John Paul II Catholic University of Lublin (PL)
5. The Pontifical University of John Paul II in Krakow (PL)
6. Kardinal Stefan Wyzcynski University in Warsaw (PL)
7. Jan Dlugosz University in Czestochowa (PL)
8. Akademia Ignatianum w Krakowie (PL)
9. Catholic University of Eichstatt-Ingolstadt (Deu)
10. University of Roma Tre (Italy)

11. Catholic University of Lyon (FR)
12. Ukrainian Catholic University (UA)
13. University of Notre Dame (USA)

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი დაიდო შემდეგ ორგანიზაციებთან:

1. „ავადმყოფთა მომსახურე სასულიერო პირთა ორდენის (კამელიელების) ფილიალი “
2. საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტი (IRI)
3. ა(ა)იპ სამართლისა და თანასწორობის ცენტრი
4. ანალიზისა და კონსულტაციის ჯგუფი (ეისითი)
5. საქართველოს მედია მონიტორინგის ცენტრი
6. შპს „სონარი “
7. კარიტასი
8. დავითიანი
9. რეგისტრირებული კავშირი საქართველოს ბავშვები
10. „იდილია “
11. ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრი - მწვანე სახლი
12. გუდვილი
13. ბავშვთა და მოზარდთა რეაბილიტაციის ცენტრი ფაზლი
14. სადაზღვეო კომპანია იმედი ელ
15. ფსიქოთერაპიისა და პიროვნული ზრდის ცენტრი სტიმული

პოსტ-საბჭოთა კვლევების ინსტიტუტის (შეიქმნა 2017 წლის 29 დეკემბერს) ორგანიზებით განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

1. გაიმართა ყოველწლიური საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია თემაზე: „Transformation of Post-Soviet Countries and European Identity“;
2. გამოიცა პოსტ-საბჭოთა კვლევების ინსტიტუტის ჟურნალი (#1) ინგლისურ ენაზე;
3. გამოიცა ირაკლი ჯავახიშვილის წიგნი „The Democratic Republic of Georgia in Diplomatic Relations of the great power 1918-1921;
4. მომზადდა ირაკლი ჯავახიშვილის წიგნი Development on International Relations of Georgia with European Union and Turkey in 1991-2003, გამოიცემა 2020;
5. ითარგმნა ჯოის პ.კაუფმანი, შესავალი საერთაშორისო ურთიერთობებში, თეორია და პრაქტიკა, მე-2 გამოცემა, გამოიცემა 2020;

6. ითარგმნა და გამოიცა ჟოზე აველინო ბეტენკურის „საუბრები წმინდა საყდრის დიპლომატიაზე“

გრიგოლ პალამას თეოლოგიის საერთაშორისო ინსტიტუტისა და საბაუნის უნივერსიტეტის თანამშრომლობით შეიქმნა თეოლოგიისა და ფილოსოფიის კვლევითი ინსტიტუტი, რომლის ორგანიზებით განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

1. გამოიცა კრებული „ადგილობრივი ეკლესიების ავტოკეფალია: ისტორიული, კანონიკური, პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი ასპექტები (სექტემბერი);
2. ჩატარდა კონფერენცია თემაზე: :სახელმწიფო და ეკლესია“ (ოქტომბერი, 10);
3. ინგლისურიდან ქართულ ენაზე ითარგმნა და გამოიცა სტატიათა კრებული „მსოფლიო საპატრიარქო და უკრაინის ავტოკეფალია: ისტორიული, კანონიკური და სამოძღვრო პერსპექტივები“
4. მსოფლიო საპატრიარქოში ექსკლუზიურად საბაუნის პროფესორებისა და სტუდენტებისათვის შედგა აუდიენცია მსოფლიო პატრიარქთან, ბართლომეოს I-თან და წმინდა სინოდის წევრებთან, (23 ნოემბერი);
5. აღდგა თეოლოგიური ჟურნალი „დიალოგი“ (1(11) – 20109 იბეჭდება);
6. გაიმართა ყოველწლიური სამეცნიერო კონფერენცია თემაზე: „რელიგია და ადამიანის უფლებები“
7. დაიწერა საგრანტო პროექტი წიგნების თარგმნასთან დაკავშირებით „ტემპლტონის ფონდისთვის“

ეკლესიის სოციალური სწავლების ცენტრის მიერ განხორციელებული აქტივობები:

1. “ამერიკის ეპისკოპოსთა საბჭოს “გრანტი ეკლესიის სოციალური სწავლების ცენტრის შესაქმნელად და ეკლესიის სოციალური სწავლების მიმართულებით პროფესორების მომზადების, ხელმძღვანელების შექმნის მიზნით;
2. ითარგმნა ეკლესიის სოციალური მოძღვრების კომპენდიუმი და გამოიცა კონრად ადენაუერის ფონდის თანადაფინანსებით;
3. ირაკლი ჯავახიშვილი, მაია ბაგაური, ეკლესიის სოციალურ სწავლების სახელმწიძღვანელო;
4. პროფესორმა პეტერ შალემბერგმა ჩაატარა მოხსენება და ტრენინგი ელესიის სოციალურ სწავლების მნიშვნელობა 21-ე საუკუნეშიერასმუზ + აკადემიური პერსონალის სასწავლო მობილობით, თეოლოგიის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებისათვის

ლიონის კათოლიკური უნივერსიტეტის პროფესორმა, Elie Airoulet-მ ჩაატარა საჯარო ლექციათა კურსი პატრისტიკის მიმართულებით „The Theological Synthesis of Maximus the Confesor";

ნიკოლას კოპერნიკის უნივერსიტეტის (პოლონეთი) საერთაშორისო უსაფრთხოების მიმართულების პროფესორმა, Piotr Siemiątkowski-მ, ერასმუზ + აკადემიური პერსონალის სასწავლო მობილობის ფარგლებში წაიკითხა საჯარო ლექციათა ციკლი თემებზე: External financial security of the European Union member states outside the Eurozone, The Eastern Partnership Policy of EU;

საქართველოში ავსტრიის ელჩმა, არად ბენკომ, ჩაატარა საჯარო ლექცია თემაზე: "Austria´s path to EU membership and lessons-learned for Georgia;

ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, კვირეულის ფარგლებში გაიმართა პროექტი „პოლიტიკური ელემენტებით დებატი", რომელიც კონბინირებულად ითვალისწინებდა ტრენინსა და დებატს. პროექტს ჰქონდა უნივერსიტეტთაშორისი სახე;

პოლონეთის, ვარშავის სტეფან ვიშინსკის უნივერსიტეტის პროფესორმა ადამ ვიელომსკიმ წაიკითხა ლექცია თემაზე: „Fides et ratio and European intellectual tradition";

გერმანიის ეპისკოპოსთა საბჭოს მიერ დაარსებული ეკლესიის სოციალური სწავლების საკითხებთან დაკავშირებული კომისიის თავმჯდომარემ Peter Schallenberg-მ წაიკითხა ლექცია თემაზე: ეკლესიის სოციალური სწავლების მნიშვნელობა 21-ე საუკუნეში;

SOLA FORUM კონფერენცია, სადაც განხილული იყო შემდეგი საკითხები: ბიოეთიკა, ბიზნესისა და შრომის ეთიკა, ქორწინება და სხვ. მონაწილეობა მიიღო ფაკულტეტის პროფესორმა, ბატონმა ნუგზარ ბარდაველიძემ (თანაორგანიზებით).

„კავკასიის ლათინ კათოლიკეთა სამოციქულო ადმინისტრაციის იუბილე-25" კონფერენცია შეეხება საქართველოში კათოლიკე ეკლესიის ისტორიას, საქმიანობას და მსახურების სხვადასხვა სფეროში (სოციალური, ლიტურგიული, ეკლესიათაშორისი, კულტურული, საგანმანათლებლო, გამომცემლობითი, ახალგაზრდული და სხვ.

წიგნის „მსოფლიო საპატრიარქო და უკრაინის ავტოკეფალია, ისტორიული, კანონიკური და სამოძღვრო პერსპექტივები" პრეზენტაცია;

ფაკულტეტის მოწვეულმა პერსონალმა, მიხეილ ანთაძემ, ჩაატარა საჯარო ლექციათა ციკლი თემებზე: მაფია და სახელმწიფო, ვეფხისტყაოსანი და თანამედროვეობა;

ყოველწლიური კონფერენცია „რელიგია და ადამიანის უფლებები" (თანაორგანიზება);

Covid 19-ის გამოწვევები საქართველოში-პანელურ დისკუსიათა ციკლი, უნივერსიტეტის ფაკულტეტების ორგანიზებით გაიმართა პანელურ დისკუსიათა ციკლი თემაზე: Covid 19-ის გამოწვევები საქართველოში. ოთხ სხვადასხვა დროს (7,9,11,13 მაისი) გაიმართა ოთხი შეხვედრა განსხვავებულ თემებზე, როგორებიცაა: რწმენა, ეკლესია და პანდემია, საუბრები თეოლოგიაზე; სამართლებრივი ეფექტები, საუბრები სამართალზე; Covid 19 და მსოფლიო: საუბრები საერთაშორისო გამოწვევებზე; Covid 19: ეკონომიკის, ბიზნესის, ტურიზმის ასპექტები, საუბრები ეკონომიკურ განვითარებაზე. შეხვედრები გაიმართა აპლიკაცია Hangouts Meet-ის საშუალებით

სიტყვის არქეოლოგია-ქართული ლექსიკის საიდუმლოებანი-საჯარო ლექცია, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ორგანიზებით აპლიკაცია Hangouts Meet საშუალებით ჩატარდა საჯარო ლექცია თემაზე: "სიტყვის არქეოლოგია-ქართული ლექსიკის საიდუმლოებები", რომელსაც წარუძღვა ასოცირებული პროფესორი, მიხეილ ანთაძე

ვახტანგ გორგასლისა და დავით აღმაშენებლის საეკლესიო რეფორმები-საჯარო ლექცია, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ორგანიზებით აპლიკაცია Hangouts Meet საშუალებით ჩატარდა საჯარო ლექცია თემაზე: "ვახტანგ გორგასლისა და დავით აღმაშენებლის საეკლესიო რეფორმები", რომელსაც წარუძღვა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, დეკანოზი ლევან მათეშვილი. ლექციაზე განიხილა საქართველოს ყველაზე ცნობილი მეფეების დამოკიდებულება ქრისტიანული ეკლესიის მიმართ, ეკლესია ქვეყნისთვის გარდამტეხ ეპოქაში. რეფორმა-მითი თუ რეალობა?

თეოლოგიის მისია და განათლება-პანელური დისკუსია, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნერებათა ფაკულტეტის ორგანიზებით აპლიკაცია Hangouts Meet საშუალებით ჩატარდა პანელური დისკუსია თემაზე: "თეოლოგიის მისია და განათლება". არნიშნულ დისკუსიაში მონაწილეობა მიიღეს საბაუნის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ერთად საბაუნის თეოლოგიის საბაკალავრო პროგრამის (მარი დოღონაძე, მაგდა მათითაიშვილი) და კაპოდისტრიას უნივერსიტეტის სტუდენტებმა

ახალი რეალობა და კონფლიქტების დარეგულირების განსხვავებული ხედვები-ვებინარი, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ორგანიზებით აპლიკაცია Zoom საშუალებით გაიმართა ვებინარი თემაზე: "ახალი რეალობა და კონფლიქტების

დარეგულირების განსხვავებული ხედვები", რომელსაც წარუძღვა პროფესორი, არინა თავაქარაშვილი. შეხვედრაზე განიხილა სამხრეთ კავკასიაში განვითარებული კონფლიქტები, რომელთაც საერთო ნიშნები ახასიათებთ და განსხვავებულობაც დასაწყისიდან დღემდე. საბჭოთა კავშირის დაშლას მოჰყვა სუვერენული სახელმწიფოების შექმნა და იმავდროულად უმწვავესი კონფლიქტები და სეპარატიზმის აღმოცენება და ძალადობრივი ქმედებები

საქართველო და კათოლიკური სამყარო-ისტორიული, პოლიტიკური და კულტურული ასპექტები-სამეცნიერო კონფერენცია, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ორგანიზებით აპლიკაცია Zoom საშუალებით გაიმართა სამეცნიერო კონფერენცია თემაზე: "საქართველო და კათოლიკური სამყარო-ისტორიული, პოლიტიკური და კულტურული ასპექტები. აღნიშნული ღონისძიება მიეძღვნა სტამბოლში ქართველ კათოლიკეთა სავანის დაარსების 160-ე წლის იუბილეს

II საუნივერსიტეტო სტუდენტური კონფერენცია- ფაკულტეტების ორგანიზებით გაიმართა, რომლის მიზანია სტუდენტების კვლევითი საქმიანობის წახალისება.

პანელები: თეოლოგია, რელიგიის ისტორია და რელიგიის კვლევები;

პოლიტიკის მეცნიერება და საერთაშორისო ურთიერთობები;

სოციოლოგია, ფსიქოლოგია და სოციალური მეცნიერებები;

ეკონომიკა, ბიზნესი და ტურიზმი;

სამართალი.

მონაწილეობა მიიღეს საქართველოს ყველა აკრედიტირებული საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებმა.

სამართლის ფაკულტეტი

სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტი 2019-2020 სასწავლო წლებში აქტიურად მუშაობდა სხვადასხვა მიმართულებით. ფაკულტეტის საქმიანობა ძირითადად კონცენტრირებული იყო შემდეგ მიმართულებებზე:

- სტიდენტებისათვის სხვადასხვა სტუდენტური ღონისძიებების შეთავაზება
- ფაკულტეტის საგრანტო პროექტებში ჩართვა
- ფაკულტეტის საბჭოს გააქტიურება

ნოემბერში გამოვლინდა სამართლის ფაკულტეტის სტიპენდიანტები:

- სამართლის საბაკალავრო პროგრამა - 9 სტუდენტი;
- სამართლის სამაგისტრო პროგრამა - 2 სტუდენტი;
- საადვოკატო ბიურო მიგრიაული და პარტნიორების სახელობის სტიპენდია - 2 სტუდენტი.

ოქტომბერ-ნოემბერში საქართველოს ნოტარიუსთა პალატასა და შ.პ.ს „ ჯეი 5“-ში სტუდენტები გაიგზავნა სტაჟირების პროგრამაზე.

2019 სასწავლო წლის საშემოდგომო სემესტრის ძირითადი მიღწევები გამოვლინდა შემდეგი მიმართულებებით:

1. სასწავლო ვიზიტები:

1.1 26 დეკემბერს სამართლის I, III და IV კურსის სტუდენტები სასწავლო ვიზიტით იმყოფებოდნენ თბილისის სააპელაციო სასამართლოში. მათ მოისმინეს ინფორმაცია სასამართლო სისტემის, მისი ფუნქციებისა და მოსამართლის როლის შესახებ. გაეცნენ სააპელაციო სასამართლოს საქმიანობის სპეციფიკას. დაათვალიერეს სასამართლო სხდომის დარბაზები და გადაიღეს სამახსოვრო ფოტოები. შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა.

1.2 27 დეკემბერს შედგა საინფორმაციო შეხვედრა საქართველოს პარლამენტში დისტანციური სტაჟირების პროგრამასთან დაკავშირებით. ღონისძიება გაიმართა საქართველოს პარლამენტის კინოდარბაზში (რუსთაველის ქ. N8). დისტანციური სტაჟირების პროგრამა წარადგინა საქართველოს პარლამენტის აპარატის უფროსმა, ბატონმა

გივი მიქანაძემ. შეხვედრას ესწრებოდნენ საბაუნის სტუდენტები და ადმინისტრაციის წარმომადგენლები.

2. სპიკერების მოწვევა, საჯარო ლექციები, ვორქშოფები...

2.1 6 დეკემბერს ჩატარდა საჯარო ლექცია თემაზე: უკეთესი ელექტრონული მმართველობა. იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს წარმომადგენელმა სტუდენტებს გააცნო ინფორმაცია ელექტრონული ხელმოწერისა და ელექტრონული სერვისების შესახებ. შეხვედრის მიზანი იყო სანდო კვალიფიციური ელექტრონული სერვისების შესახებ ახალგაზრდების ცნობიერების ამაღლება. სააგენტოს გარე მომხმარებლებთან ურთიერთობის მართვის სამსახურის წარმომადგენელმა სტუდენტებს დეტალურად გააცნო სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს საქმიანობა და სააგენტოში დაგეგმილი პროექტები.

2.2 6 დეკემბერს მოეწყო შეხვედრა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალურ დირექტორ, პროფესორ ზვიად გაბისონიასთან - რომელმაც წარადგენა პრეზენტაცია თემაზე „საქართველოს მეცნიერების ევროპულ სივრცეში ინტეგრირების ახალი ეტაპი - ახალი შესაძლებლობები მეცნიერებისთვის“, ისაუბრა საქართველოს ევროკავშირის მეცნიერებისა და ინოვაციების სახელმწიფოთაშორისი ორგანიზაციის(EURAXESS) წევრობის მნიშვნელობაზე, ფართო შესაძლებლობებსა და ახალ სერვისებზე საქართველოს მეცნიერებისთვის. ასევე, ფონდის მიერ 2019 წლის გამოცხადებულ პროგრამებსა და კონკურსებზე, ახალ მიზნობრივ კონკურსებზე, 2020 წლის პრიორიტეტებზე, გეგმებსა და მასშტაბურ პროექტებზე. შეხვედრას საბაუნის აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალთან ერთად სტუდენტებიც ესწრებოდნენ.

2.3 28 ნოემბერს ნოტარიუსებმა თამარ დიაკონიძემ და თინათინ ვარდოსანიძემ პროექტი „გაიარე სტაჟირება და გახდი ნოტარიუსის“ ფარგლებში, სტუდენტებს სტაჟირების პროგრამა და კონკურსის პირობები გააცნეს და ნოტარიუსის პროფესიის შესახებ ესაუბრნენ,

შეხვედრის ბოლოს კი მათ კითხვებსაც უპასუხეს. შეხვედრას ესწრებოდნენ სამართლის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების სტუდენტები და კურდამთავრებულები, რომლებიც დაინტერესებულნი იყვნენ სანოტარო საქმიანობით.

2.4 7 ნოემბერს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის, ადამიანის უფლებათა დაცვის სამმართველოს თანამშრომელი, თეა გალახვარიძე და თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ვაკე-საბურთალოს სამმართველოს პოლიციის I განყოფილების მართლწესრიგის უფროსი, ოფიცერი ნოდარ ბურდული (სამართლის კურსდამთავრებული), საბაუნის სამართლის სტუდენტებს შეხვდნენ და ჩაატარეს საინფორმაციო შეხვედრა ოჯახში ძალადობის საკითხების შესახებ.

2.5 4 ოქტომბერს ჩატარდა ტრენინგი „სასამართლო პრაქტიკის მიმოხილვა“, რომელსაც გაუძღვა საერთო სპეციალიზაციის ადვოკატი, იურიდიული კომპანია ,,KK Law Office-ის” დამფუძნებელი/დირექტორი, საქართველოს ხელბურთის ეროვნული ფედერაციის სადისციპლინო კომიისის თავმჯომარე ქეთევან ქავთარაძე;

2.6 9 დეკემბერს საბაუნის სამართლის ფაკულტეტისა და სამოქალაქო განათლების ცენტრის ორგანიზებით, უნივერსიტეტის სტუდენტთათვის გაიმართა საჯარო ლექცია თემაზე - „გენოციდი: The Crime of Crimes". მომხსენებელი: ბაქარ მაცაბერიძე

2.7 4 დეკემბერს ჩატარდა ცესკოს საინფორმაციო შეხვედრა თემაზე „ინფორმირებული ახალგაზრდა ამომრჩეველი“, რომლის ფარგლებშიც ახალგაზრდებმა მიიღეს ინფორმაცია შემდეგ საკითხებზე: 1. არჩევნების არსი და მისი მნიშვნელობა ქვეყნის დემოკრატიზაციის პროცესში. 2. არჩევნების საერთაშორისო ვალდებულებები და პრინციპები. 3. არჩევითი სახელმწიფო ორგანოები. 4. არჩევნებში ჩართული მხარეები და მათი როლი საარჩევნო პროცესში. აქტიური მოქალაქეობა და არჩევნებში მონაწილეობის მნიშვნელობა. სემინარის ბოლოს სტუდენტებს გადაეცათ სერტიფიკატები.

2.8 3 დეკემბერს შედგა საინფორმაციო შეხვედრა ELSA STEP - სტუდენტთა გაცვლითი სამუშაო პროგრამაზე (STEP), რომელიც ახალგაზრდა იურისტებსა და სამართლის სტუდენტებს აძლევს შესაძლებლობას გაიარონ სტაჟირება სხვადასხვა დაწესებულებასა და იურიდიულ ფირმაში, მსოფლიოს მასშტაბით.

2.9 27 ნოემბერს ჩატარდა ვორქშოპი თემაზე „მომავლისთვის მზადება: ხელოვნული ინტელექტი, სამართლი, ბიზნესი და საზოგადოება“, რომელიც დაიგეგმა ხელოვნური ინტელექტისა და ტექნოლოგიების სამართლის ინსტიტუტის ორგანიზებით. შეხვედრაზე განიხილეს ა.შ.შ-ის, ჩინეთისა და ევროკავშირის გამოცდილება. ასევე, ყურადღება გამახვილდა საქართველოს გამოწვევებზე. ვორქშოფში მონაწილეობდნენ საბაუნის, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტისა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტები. მომხსენებელი: პარამჯიიტ სინგჰ ბერვალ- ასისტენტი; სამუშაო ენა- ინგლისური;

2.10 30-31 ოქტომბერს ჩატარდა ტრენინგები თემაზე „როგორ დავწეროთ საკონფერენციო ნაშრომი“. ტრენერები: გიორგი მესხი და დიმიტრი გეგენავა.

2.11 23 ნოემბერს ჩატარდა ტრენინგი თემაზე: „შევქმნათ ჩვენი სახელმწიფო“, რომელიც ჩატარდა არასამთავრობო ორგანიზაცი „დემოკრატიული საზოგადოების“ ორგანიზებით. ტრენინგში მონაწილეობას იღებდნენ სტუდენტები და სამოქალაქო განათლების მასწავლებლები. ტრენერი: გიორგი გორაძე

3. განხორციელებელი პროექტები

3.1 23 დეკემბერს ჩატარდა წლის შემაჯამებელი ღონისძიება - რომელიც აერთიანებდა რამდენიმე მნიშვნელოვან ნაწილს:

Alumni - კურდამთავრებულების დაბრუნება საბაუნიში;

სტიპენდიანტების დაჯილდოების ცერემონია;

ღონისძიებაზე დაანონსდა ALUMNI კლუბის ჩამოყალიბების იდეა, სადაც კურსდამთავრებულებს შესაძლებლობა ექნებათ შეინარჩუნონ კავშირი უნივერსიტეტთან და დაგეგმონ ახალი პროექტები.

3.2 2019 წლის სექტემბერი-დეკემბრის თვეში საბაუნის სტუდენტები ჩართულნი იყვნენ პროექტში „NATO-ს წარმატების ისტორია“. ნატოს სამოკავშირეო ოფისში სტუდენტები შეხვდნენ: ეროვნული თავდაცვის აკადემიის კაპრალ-სპეციალისტ თემო დადიანსა და თავდაცვის სამინისტროს სოციალურ საკითხთა და ფსიქოლოგიური მხარდაჭერის დეპარტამენტის უფროსს ბუბა ლომუაშვილს, სახალხო დიპლომატიის საკითხებში NATO-ს გენერალური მდივნის თანაშემწეს თაჯან ილდემსა და პოლონეთის ელჩს მარიუშ მაშკევიჩს. შეხვედრების მიზანია ჩრდილოატლანტიკური ალიანსის შესახებ ცნობიერების ამაღლება. პროექტში მონაწილეობას იღებდნენ ალიანსის წევრი ქვეყნების ელჩები, NATO-ს სამეკავშირეო ოფისის და NATO-ს სახალხო დიპლომატიის განყოფილების წარმომადგენლები, ასევე საქართველოს სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლები და ექსპერტები.

3.3 16 სექტემბერს საბაუნიმ ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმი გააფორმა იურიდიულ კომპანიასთან „სოხაძე, ბარამაშვილი და პარტნიორები“. მემორანდუმის ფარგლებში საბაუნის სტუდენტები პრაქტიკას გაივლიან იურიდიულ კომპანიაში, რაც სტუდენტებისთვის არის საშუალება სწავლის პროცესშივე ჰქონდეთ შეხება რეალურ ქეისებთან და უშუალოდ მიღონ მონაწილეობა პროცესებში.

3.4 2019 სასწავლო წლის 15 ოქტომბრიდან, ყოველ სამშაბათს, სემესტრის განმავლობაში მიმდინარეობდა - ბერგჰოფის ფონდისა და მისი ქართული გუნდის ინიციატივით შემუშავებული ახალი სამშვიდობო პროექტი „ისტორიის შესახებ დიალოგი, როგორც საფუძველი ნორმალიზაციისთვის.“ პროექტი მიზნად ისახავს ქართულ და აფხაზურ საზოგადოებებს შორის წარსულის შესახებ დიალოგს, ორივე საზოგადოებაში ღია სადისკუსიო სივრცის გაჩენასა და გაფართოებას.

პროექტის ფარგლებში იმართებოდა სამუშაო შეხვედრები/ვორქშოფები სხვადასხვა დაინტერესებულ ჯგუფებთან. ვორქშოფებზე გამოყენებულია ბიოგრაფიული ინტერვიუების მოსმენისა და განხილვა/დისკუსიის მეთოდოლოგია. მონაწილეები ისმენდნენ და განიხილავდნენ ქართველი, აფხაზი და ოსი ადამიანების ბიოგრაფიულ ინტერვიუებს. ინტერვიუებში ადამიანები, რომლებიც უშუალოდ შეესწრნენ საქართველოში არსებულ ეთნო-პოლიტიკულ კონფლიქტებს, ყვებოდნენ თავიანთ პირად ისტორიებს, მოგონებებსა და აღწერდნენ მათი თვალით დანახულ წარსულში მომხდარ მოვლენებს. პროექტში მონაწილეობას იღებდნენ საბაუნის სამართლის სტუდენტები.

4. უნივერსიტეტთაშორის სტუდენტურ შეჯიბრებებში ჩართულობა

4.1 2019 წლის ოქტომბერ-დეკემბერში საბაუნის სტუდენტთა გუნდმა მონაწილეობა მიიღეს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ იმიტირებულ პროცესში „პოლიტიკა სამსჯავროზე“. რომლის ფარგლებშიც, იმიტირებულ სასამართლო პროცესზე განიხილეს, თუ რამდენად შეესაბამებოდა საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის მიერ 1018-1921 წლებში წარმოებული პოლიტიკა ქვეყნის ეროვნულ ინტერესებს.

4.2 2019 წლის ოქტომბერ-ნოემბერში საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ევროკავშირის სამართლის დეპარტამენტმა და სსიპ იუსტიციის სასწავლო ცენტრმა, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) სამართლის პროგრამასთან ერთად განახორციელა ევროკავშირის სამართლის იმიტირებული სასამართლო პროცესი. საბაუნის სამართლის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტები პროექტში მონაწილეობდნენ საბაუნის სახელით.

5.კონფერენციები:

5.1 4 დეკემბერს ჩატარდა I საფაკულტეტო კონფერენცია თემაზე: ადამიანის უფლებები, რომელიც სამართლის ფაკულტეტის ორგანიზებით გაიმართა ადამიანის უფლებების კვირეულის ფარგლებში .

კონფერენცია მიზნად ისახავდა სტუდენტების კვლევითი საქმიანობის წახალისებასა და ცნობიერების ამაღლებას ადამიანის უფლებების მიმართულებით.
კონფერენციაში მონაწილეობდნენ საბაუნის, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, საქ. დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის, შავი ზღვისა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტები. მონაწილეები კონფერენციის ბოლოს სერტიფიკატებთან ერთად სიმბოლური საჩქრებით დაჯილდოვდნენ.

5.2 26 დეკემბერს ჩატარდა მესამე ეროვნული კონფერენცია - „რთული შემთხვევები სასამართლო პრაქტიკაში“, რომელიც მოეწყო საბაუნის ამერიკული სამართლისა და სამართლის ფილოსოფიის ცენტრის ორგანიზებით. კონფერენციაზე წარმოდგენილი იყო საქართველოს, ამერიკის შეერთებული შტატებისა და გაერიანებული სამეფოს სხვადასხვა სასამართლო გადაწყვეტილების შესახებ მოხსენებები.

5.3 10 დეკემბერს ადამიანის უფლებების სამართლის საუნივერსიტეტო კვირეულის ფარგლებში ჩატარდა საერთაშორისო ინტერდისციპლინარულ კონფერენცია - „რელიგია და ადამიანის უფლებები", კონფერენციაზე განხილული იყო საკითხები რელიგიურ, თეოლოგიურ, სამართლებრივ და პოლიტიკურ ჭრილში.

5.4 დაიგეგმა საერთაშორისო კონფერენცია „ტერიტორიული კონფლიქტები, ტერიტორიული პოლიტიკა და გლობალური უსაფრთხოება“, რომელიც უნდა ჩატარებულიყო 2020 წლის 25-27 სექტემბერს. მომზადდა კონფერენციის დღის წესრიგი და გეგმა. უცხოელი პროფესორები, რომლებმაც თანხმობა განაცხადეს კონფერენციაში მონაწილეობაზე: ჯონ ჰოპკინის უნივერსიტეტის პროფესორი რუთ ვედვუდი, პრინსტონის უნივერსიტეტის პროფესორი მაიკლ რეინოლდსი, როჩესტერის უნივერსიტეტის პროფესორმა ჰენკ ე. გოემანი, დეუსტოს პროფესორი ფილიპე გომეს ისა, აბერდენის უნივერსიტეტის პროფესორი მიშელ კიტინგი, კადისის უნივერსიტეტის პროფესორი მიშელ რემი ნჯიკი, კვიპროსის უნივერსიტეტის პროფესორი არისტოტელე კონსტანტინიდე, უკრაინის კათოლიკური უნივერსიტეტის პროფესორი დმიტრო შერენგოვსკი და იოანე

პავლე II-ის ლუბლინის კათოლიკური უნივერსიტეტის პროფესორი კრისტოფ ვიაკი და სხვა. სამწუხაროდ, პანდემიის გამო კონფერენცია გაუქმდა.

6. გამოცემები:

6.1 „ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლო და შრომის სამართალი“ - გამოიცა წიგნი, რომელიც საქართველოში პირველად, მკითხველს წარუდგენს ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლო (CJEU) პრაქტიკას შრომის სამართლის სფეროში. წიგნის ავტორები არიან საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეები და პროფესორები კერძო სამართლის მიმართულებით: ეკატერინე გასიტაშვილი, ნინო ბაქაქური, მაკა კარტოზია, ნინო ლიპარტია და ეკატერინე ქარდავა. საქმიანობის წამომწყები და მხარდამჭერია ასოციაცია „ევროპის დროით“, საბაუნი და ფრიდრიხ ებერტის ფონდი. წიგნის პრეზენტაცია გაიმართა საბაუნიში.

6.2 გამოიცა სერგი ჯორბენაძის საიუბილეო კრებული - „სერგო ჯორბენაძე 90“, რომელიც აერთიანებს სტატიებს სამართლის სხვადასხვა მიმართულებით. წიგნი გამოსცა სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის გამომცემლობამ. რედაქტორები: სერგი ჯორბენაძე, დიმიტრი გეგენავა

6.3 მესამედ გამოიცა სახელმძღვანელო „შესავალი საქართველოს საკონსტიტუციო სამართალში“.

6.4 გამოიცა პირველი ნომერი სამეცნიერო ჟურნალისა „ორბელიანი“.

7. საერთაშორისო თანამშრომლობა:

7.1 სამართლის ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი გიორგი გორაძე პოს უნივერსიტეტის (University of Pau) მიწვევით იმყოფებოდა ქ. ბაიონასა (საფრანგეთი) და ბილბაოში (ესპანეთი). მან მონაწილეობა მიიღო პოს უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ საერთაშორისო სემინარში ქ. ბაიონაში, რომლის თემატიკაც იყო „ადამიანის უფლებები, ევროპული ინტეგრაცია და საქართველო: მთავარი გამოწვევები“. სემინარი მიმდინარეობდა 2019 წლის 25-26 სექტემბერს. სემინარის სამუშაო ენები იყო ინგლისური, ფრანგული და ესპანური.

ვიზიტის ფარგლებში გიორგი გორაძე შეხვდა პოს უნივერსიტეტის ევროპული და საერთაშორისო კვლევების კოლეჯის (Collège 2EI „Études Européennes et Internationales“) დირექტორს, პროფესორ ფილიპ ზავოლის და კადიცის უნივერსიტეტის (University of Cadiz) საერთაშორისო ურთიერთობების ხელმძღვანელს, პროფესორ მიშელ რემის, რომლებმაც გამოთქვეს სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტთან თანამშრომლობის სურვილი.
გარდა ამისა, ბატონი გიორგი გორაძე ქალაქ ბილბაოში შეხვდა დეუსტოს უნივერსიტეტის (University of Deusto) სამართლის ფაკულტეტის სამართლის ფაკულტეტის დეკანს, პროფესორ გემა ტომას მარტინესს. ქალბატონმა მარტინესმა გულთბილი დახვედრა მოუწყო ბატონ გიორგის. მასპინძელმა დიდი სურვილი გამოხატა ითანამშრომლოს სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტთან, როგორც ერასმუსის პროგრამის ფარგლებში, ისე მის გარეთაც. მხარეები შეთანხმდნენ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმებასა და შემდგომ ნაბიჯებზე.
ბატონი გიორგი გორაძე ასევე შეხვდა ბასკეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის (University of the Basque Country) სამართლის ფაკულტეტის დეკანს, პროფესორ ხუანა გოიზუეტა ვერტიზს, რომელმაც ასევე გამოთქვა საბაუნისთან თანამშრომლობის სურვილი. მხარეები შეთანხმდნენ შემდგომ ნაბიჯებზე.

8. საგრანტო პროექტები:

8.1 ნოემბერში შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდისთვის მომზადდა პროექტი და დაიგეგმა საერთაშორისო კონფერენცია „ტერიტორიული კონფლიქტები, ტერიტორიული პოლიტიკა და გლობალური უსაფრთხოება“. პროექტის განხორციელებაზე უარი ითქვა.

8.2 17 ოქტომბერს ევროპის საბჭოს საგრანტო კონკურსისთვის გაიგზავნა პროექტი „დისკრიმინაციის, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულისა და სიძულვილის ენის წინააღმდეგ ბრძოლა საქართველოში“. პროექტი არ დაფინანსდა.

8.3 16 ოქტომბერს ასისტენტის, მაკა ფარცვანიას მიერ გაიგზავნა საგრანტო პროექტი ენერგეტიკის სამართლის აქტუალური საკითხების შესწავლასთან დაკავშირებით(იაპონიის

საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტო/JICA). დეკანთან კოორდინაციით მოხდა პროექტის დამუშავება და საგრანტო განაცხადის შეტანა. პროექტი არ დამტკიცდა.

9. აკრედიტაცია/ავტორიზაცია:

9.1 13 ნოემბერს საბაუნის სამართლის საბაკალავრო პროგრამამ 7 წლიანი აკრედიტაცია მიიღო.

9.2 ოქტომბერში დაიწყო საჯარო მართვის პროგრამის შემუშავებაში ჩართვა. საჯარო მართვის პროგრამის განხილვა დამსაქმებლებთან, პროფესორებთან ერთად სილაბუსებზე მუშაობა.

9.3ოქტომბრიდან დაიწყო საპილოტე ავტორიზაციის ფარგლებში დაკისრებული დავალებების შესრულება.

10. ფაკულტეტის საბჭოს მუშაობა:

სექტემბრიდან დაიწყო მუშაობა სამართლის ფაკულტეტის 2019-2020 სასწ. წლისთვის დაგეგმილ სტრატეგიულ გეგმაზე. ასევე, ფაკულტეტის საბჭოს წევრებთან ერთად განიხილეს სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის მარეგულირებებლი დოკუმენტების პროექტები.

სამართლის სამაგისტრო პროგრამას დაემატა შემდეგი სასწავლო მოდულები და პრაქტიკული კურსები:

- ადამიანის უფლებების სამართლის კლინიკა - 18 კრეტიდი
- აღსრულების სამართლის კლინიკა - 12 კრედიტი
- სასწავლო კურსი „გარემოს დაცვის სამართალი“ – 6 კრედიტი
- სასწავლო კურსი „ევროპის კერძო სამართალი“ (ინგლისურ ენაზე) – 6 კრედიტი

2020 სასწავლო წელი სამართლის ფაკულტეტმა დაიწყო 2020-2026 წლების ფაკულტეტის სტრატეგიული გეგმის შემუშავებით. რომლის მიხედვითაც ყურადღება გამახვილდა სამართლის ფაკულტეტის მისიაზე, რომელშიც ნათლად ჩანს, რომ ფაკულტეტი მიმართულია მოამზადოს კვალიფიციური კონკურენტუნარიანი, მაღალი სამართლებრივი კულტურისა და მორალის მქონე იურისტები. ასევე განისაზღვრა ფაკულტეტის მიზნები: 1.

ფაკულტეტის ცნობადობის ამაღლება; 2. სტუდენტებთან კომუნიკაციის გაუმჯობესება, დამატებითი სერვისების განვითარება და სტუდენტების ჩართულობა; 3. ფაკულტეტის აკადემიური პროგრამების გაფართოება და განვითარება; 4. აკადემიური კვლევების მხარდაჭერა; 5. ფაკულტეტის ფინანსური ავტონომია და დამატებითი ფინანსური რესურსების მოზიდვა; 6. კომპეტენტური და მოტივირებული პროფესორ-მასწავლებლების გუნდის გაძლიერება. 7. ფაკულტეტის საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერება.

1. სამართლის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებში განხორციელებული ცვლილებები:

სამართლის სამაკალავრო პროგრამაში:

- საერთაშორისო ეკოლოგიურ სამართალს შეეცვალა სახელწოდება „გარემოს დაცვის საერთაშორისო სამართლით“.
- პროგრამის მოქნილობისა და სტუდენტის ინტერესის მეტად დაკმაყოფილების მიზნით, გაიზარდა არჩევითი სასწავლო კურსების რაოდენობა. ამისთვის პროგრამის არჩევით სასწავლო კურსებს შორის დაემატა ვიქტიმოლოგია ინგლისურ ენაზე.
- საერთაშორისო სამართლის მიმართულებით, არჩევითი სასწავლო კურსების გამრავალფეროვნებისთვის დაემატა - საერთაშორისო სახელშეკრულებო სამართალი, ადამიანის უფლებების საერთაშორისო სამართალი, დიპლომატიური და საკონსულო სამართალი.
- საკორპორაციო სამართლის სილაბუსში განახლა ლიტერატურა და ჩასწორდა ტექნიკური ხარვეზები.

სამართლის სამაგისტრო პროგრამასთან მიმართებით, ექსკლუზიური სასწავლო კურსების დამატებისა და არჩევითი მიმართულებების გამრავალფეროვნების მიზნით, დაემატა შემდეგი სასწავლო კურსები:

- სოციალური მედიის სამართალი - 3 კრედიტი
- პრივატიზების სამართალი - 3 კრედიტი
- კრიპტოვალუტის სამართალი - 3 კრედიტი
- ენერგეტიკის სამართალი - 6 კრედიტი

ქვეყანაში საჯარო სამართლის სისტემა კვალიფიციური მოხელეების მნიშვნელოვან დანაკლისს განიცდის და ბაზრის მოთხოვნებიდან გამომდინარე დღის წესრიგში დადგა

საჯარო მმართველობის პროგრამის შემუშავება. დამსაქმებლებთან და პროგრამაში ჩართულ პროფესორებთან შეხვედრებისა და მსჯელობის საფუძველზე მომზადდა საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამა. პროგრამის ხელმძღვანელები არიან ლიანა გიორგაძე და გიორგი გორაძე. საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამა განიხილეს ფაკულტეტის საბჭოზე და წარედგინა აკადემიურ საბჭოს განსახილველად. 19 ივნისს მოეწყო ექსპერტების ვიზიტი, რომლებმაც 17 ივლისს წარმოადგინეს დასკვნა საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამასთან დაკავშირებით. ასევე, საგაზაფხულო სემესტრში აქტიურად მიდიოდა მუშაობა უნივერსიტეტის ავტორიზაციისთვის.

2020 სასწავლო წლის მნიშვნელოვანი გამოწვევა იყო COVID-19. პანდემიის პირობებში სასწავლო პროცესი გადავიდა ელექტრონული სწავლების ფორმატზე. წინასწარ ჩატარდა სტუდენტების გამოკითხვა, თუ რამდენად შეძლებდნენ ონლაინ-რეჟიმში ჩართვას და შედეგებიდან გამომდინარე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ელექტრონულ სწავლებაზე გადასვლისა. სამართლის ფაკულტეტი 16 მარტიდან 1 აპრილამდე გადავიდა ასინქრონული ელექტრონული სწავლების რეჟიმზე, რაც გულისხმობდა ვიდეო-ლექციების წინასწარ ჩაწერას და უნივერსიტეტის სტუდენტთა ელექტრონულ ბაზაზე ატვირთვას(პერსონალური მონაცემების დაცვის მიზნით, მხოლოდ ყურების და არა ჩამოწერის შესაძლებლობით). ხოლო 31 მარტიდან, ელექტრონული პლატფორმა: Hangouts Meet-ის საშუალებით, სასწავლო პროცესი გადავიდა ლაივ სწავლების რეჟიმზე. პარალელურ რეჟიმში მიმდინარეობს ონლაინ-ლექციების ჩაწერა იმ სტუდენტებისთვის, რომლებსაც ელექტრონულ რესურსებზე მუდმივად არ მიუწვდებოდათ ხელი და ვერ ერთვებოდნენ ტექნიკური თუ პანდემიით გამოწვეული სხვა პრობლემების გამო. ჩაწერილი ვიდეო-ლექციების საშუალებით ისინი მოგვიანებით ახერხებდნენ ლექციის ახსნის პროცესის მოსმენას. ონლაინ სწავლებაზე გადასვლის შემდეგაც მოხდა სტუდენტების გამოკითხვა, პრობლემების დაფიქსირება და მათ აღმოფხვრაზე მუშაობა.

სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის მნიშვნელოვანი მიღწევა იყო ევროპის იურიდიული ფაკულტეტების ასოციაციის(ELFA – European Law Faculties Association) წევრად გახდომა.

ასევე, საბაუნის სამართლის ფაკულტეტმა გაიმარჯვა ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) პროგრამის - „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“ (PROLoG) - მიერ გამოცხადებულ კონკურსში „ადამიანის უფლებათა სამართლის მიმართულება“. პროექტში ასევე ჩართულები არიან ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტისა (ბსუ) და სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის (სჯსუ) სამართლის ფაკულტეტებიც.

პროექტი უნიკალურია თავისი არსით, რადგან შეიქმნება სამი ახალი სასწავლო საგანი: „შშმ პირების სამართალი“, „ანტიდისკრიმინაციული სამართალი“ და „თანასწორობის უფლებათა დაცვა“. ამათგან პირველი ორი საგანი გათვალისწინებული იქნება სამართლის საბაკალავრო პროგრამაში, ხოლო მესამე - სამართლის სამაგისტრო პროგრამაში. საგნები ჯერ დაიტესტება საბაუნიში, ხოლო შემდეგ შევა დანარჩენი ორი პარტნიორი უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამებში. შესაბამისად, საბაუნი იქნება პირველი უნივერსიტეტი საქართველოს საგანმანათლებლო სივრცეში, რომლის სასწავლო პროგრამებიც სტუდენტებს შესთავაზებს თანამედროვე გამოწვევებზე ორიეტირებულ ახალ პრაქტიკულ საგნებს: „შშმ პირების სამართალი“, „ანტიდისკრიმინაციული სამართალი“ და „თანასწორობის უფლებათა დაცვა“.

პროექტი მრავალკომპონენტიანია, რომლის ფარგლებშიც:

შეიქმნება:

- 3 ახალი სასწავლო საგნის სილაბუსი
- ერთი სახელმძღვანელო სტუდენტებისთვის
- ერთი სახელმძღვანელო ლექტორებისთვის
- ერთი სტატიათა კრებული
- ვიდეოლექციები და ვიდეორგოლები შშმ პირების უფლებებისა და თანასწორობის უფლებებთან დაკავშირებული. ვიდეოლექციები და ვიდეორგოლები ადაპტირებული იქნება სმენადაქვეითებულთათვის.

ჩატარდება:

- 6 ვორქშოფი სამივე უნივერსიტეტში პროფესორ-მასწავლებლების მონაწილეობით
- 6 საჯარო დისკუსია თბილისში, აჭარასა და ახალციხეში
- ერთი საჯარო ლექცია თბილისში
- დასკვნითი საჯარო შეხვედრა თბილისში

პროექტში მონაწილეობას მიიღებს ჰარვარდის უნივერსიტეტის (აშშ) პროფესორი ჟანეტ ლორდი (Janet Lord), რომელიც იქნება „შშმ პირების სამართლის“ მთავარი ავტორი. იგი ასევე ეწვევა საბაუნის და ჩაატარებს საჯარო ლექციას.

პროექტის ფარგლებში საბაუნი შეიძენს სტუდიას, რაც შესაძლებლომას მოგვცემს არა მარტო ამ პროექტის ფარგლებში, არამედ მისი დასრულების შემდეგაც ჩავწეროთ ჩვენი პროფესორების საინტერესო ლექციები და ვიდორგოლები.

პროექტი დაიწყო 2020 წლის მაისში და მისი განხორციელების ვადა მოიცავს 14 თვეს.

პროექტის საერთო ღირებულებაა 20 000 აშშ დოლარი.

COVID 19 ის პირობებში ონლაინ ფორმატში მოეწყო შემდეგი ღონისძიებები:

სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის ორგანიზებით, ონლაინ ფორმატში ჩატარდა პანელური დისკუსიათა ციკლი- COVID 19 ის გამოწვევები საქართველოში.

9 მაისის შეხვედრა დაეთმო კორონა ვირუსის პანდემიის განხილვას სამართლებრივ ჭრილში. დისკუსიას მოდერატორობა გაუწია სამართლის ფაკულტეტის დეკანმა, გიორგი გორაძემ. შეხვედრაზე მოხსენებებით წარდგნენ სამართლის ფაკულტეტის აფილირებული პროფესორები.

საბაუნის სამართლის ლექტორმა თენგიზ თევზაძემ ისაუბრა საგანგებო მდგომარეობის პირობებში მიმდინარე საკონსტიტუციო ცვლილებებზე. მან იმსჯელა, თუ რა საფრთხე შეიძლება შეუქმნას არსებულმა მდგომარეობამ კონსტიტუციური კანონის პროექტის მიღებას. ასევე, ყურადღება გაამახვილა არაჟანსაღ საარჩევნო პროცესზე, საპარლამენტო კონტროლისა და საქართველოს მთავრობის მიერ ანგარიშის წარდგენის მნიშვნელობაზე.

ონლაინ-დისკუსიას გერმანიიდან ჩაერთო პროფ. გიორგი მესხი და მსმენელებს გააცნო პანდემიასთან დაკავშირებული გერმანული გამოცდილება. მისი თქმით ორი მიმართულებით ცდილობს გერმანიის მთავრობა საკანონმდებლო რეგულაციებით ზომების მიღებას: 1. ადამიანების ჯანმრთელობისა და სიცოცხლის დაცვა; 2. ეკონომიკის შესანარჩუნებლად გადადგმული ნაბიჯები. გერმანიის გამოცდილებიდან ჩანს, რომ

ეფექტურად ახერხებს იზრუნოს ადამიანის სოციალურ დაცვაზე და ამავდროულად ცდილობს უზრუნველყოს ეკონომიკური კრიზისის ნაკლებად მტკივნეული შედეგები, რომლის გამოწვევის წინაშე დღეს საქართველოცაა.

საბაუნის შოთა მუსხელის ინსტიტუტის ხელმძღვანელი, გვანცა გუგეშაშვილი ჩაერთო საფრანგეთიდან და ისაუბრა საფრანგეთში კორონავირუსით გამოწვეული შეზღუდვებისა და აკრძალვების შესახებ. მან აღნიშნა, რომ ფრანგებმა დააგვიანეს საკარანტინო რეჟიმის მიღების გადაწყვეტილება. ყურადღება გააამხვილა საგანგებო მდგომარეობის პირობებში დარღვევებთან დაკავშირებულ სანქციებზე. ასევე, ისაუბრა საფრანგეთის სახელმწიფოს მხრიდან უმუშევრობის პროცესში ნაწილობრივ სუბსიდირების სისტემაზე და ზოგადად, თუ როგორაა დაცული ადამიანის ძირითადი უფლებები პანდემიის პირობებში.

ბოლო მოხსენებით წარდგა საბაუნის ლექტორი უჩა ბახტაძე თემით: COVID-19 ის გავლენები დანაშაულის მატებასთან დაკავშირებით. საუბრისას ხაზი გაესვა რეგისტრირებულ დანაშაულებს, ცალკეული ტენდენციების გამოვლენას კონკრეტულ დანაშაულებრივ ქმედებებთან დაკავშირებით, საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის მატებას საგანგებო მდგომარეობის პირობებში, დანაშულის გადასვლას კიბერ სივრცეში და ვირუსით გამოწვეულ სხვადასხვა ფაქტორებზე, რაც დანაშაულს ზრდის.

პანელური დისკუსიის მეორე ნაწილი დაეთმო კითხვა პასუხის რეჟიმს, რომელშიც ჩაერთნენ საქართველოს სხვადასხვა უნივერსიტეტის პროფესორები და სტუდენტები. საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე, შეხვედრის ფარგლებში დაიგეგმა სამომავლო აქტივობები.

- საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით, საბაუნის სამართლის ფაკულტეტის ორგანიზებით, 26 მაისს გაიმართა კონფერენცია თემაზე: 26 მაისი - დამოუკიდებლობის გამოცხადება და თანამედროვე გამოწვევები.

მომხსენებლები იყვნენ:

1. გიორგი გორაძე - ნეიტრალიტეტი და სახელმწიფო უსაფრთხოება
2. გიორგი მესხი - საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი გერმანიაში

3. გიორგი სიორიძე - საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის ლეგიტიმაციური უპირატესობა ქვეყნის მოქმედ კონსტიტუციასთან მიმართებაში
4. თენგიზ თევზაძე - სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური უფლებები 1921 წლის კონსტიტუციაში
5. დიმიტრი გეგენავა - სეკულარიზმი და დამოუკიდებლობა: თავისუფლების გამოწვევა

კონფერენცია გაიმართება ონლაინ აპლიკაცია Zoom მეშვეობით და Live Stream გაეშვა საბაუნის სამართლის ფაკულტეტის გვერდზე.

- 10 ივლისს, ელექტრონულ პლატფორმა Hangouts Meet-ში, სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის ორგანიზებით ჩატარდა II საუნივერსიტეტო სტუდენტური კონფერენცია. სამართლის პანელს მოდერატორობა გაუწია საბაუნის სამართლის ფაკულტეტის დეკანმა, პროფესორმა გიორგი გორაძემ. კონფერენციის ჟიურის წევრები იყვნენ საბაუნის პროფესორები: გიორგი მესხი და მაკა ფარცვანია.

მოხსენებებით წარსდგნენ სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობისა და გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტები.

კონფერენცია მიზნად ისახავდა სტუდენტთა სამეცნიერო საქმიანობაში ჩართვის წახალისებას.

საუკეთესო მომხსენებლად დასახელდა თსუ-ის მაგისტრანტი - ირაკლი ბუთურიშვილი, რომელსაც საჩუქრად გადაეცემა საბაუნის გამოცემები. ყველა მონაწილე მიიღებს სერტიფიკატს, ხოლო საუკეთესო ნაშრომები გამოქვეყნდება სტუდენტურ ჟურნალში.

- 18 ივლისს სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის ორგანიზებით გაიმართა IV ეროვნული კონფერენცია თემაზე - „რთული შემთხვევები სასამართლო პრაქტიკაში“.

კონფერენციაზე სამართლის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებმა, დოქტორანტებმა და პრაქტიკოსმა იურისტებმა წარმოადგინეს რთულ შემთხვევებზე მიღებული სასამართლო გადაწყვეტილებების ანალიზი საქართველოს, ამერიკის შეერთებული შტატების და გაერთიანებული სამეფოს პრაქტიკიდან.

კონფერენციაში მონაწილეობას იღებდნენ: ქეთევან დევიძე, იაკობ ჭეიშვილი, სოფიო მეზვრიშვილი, სოფიო აფრიამაშვილი, მედეა სულაქველიძე, ნათია შეყილაძე, ნიკო

მერებაშვილი, მარიამ გაგოშიძე, ნინო მუხადგვერდელი, ქიტესა პაპუაშვილი და ანი არჩუაძე.

კონფერენციას მოდერატორობა გაუწია პროფესორმა დიმიტრი გეგენავამ. წარმოდგენილი მოხსენებები გამოქვეყნდება რთული შემთხვევების IV ტომში.

- 21 ივლისს სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტი ბასკეთის

უნივერსიტეტის ადამიანის უფლებათა კვლევით ჯგუფთან და ესპანეთის სპორტის სამართლის ასოციაციასთან ერთად ჩაერთო ონლაინ ვებინარში: „ევროპული სპორტის სამართალი. შეთავაზებები საქართველოს “, რომლის მიზანია სპორტის სამართალის განვითარება და პოპულარიზაცია კავკასიის რეგიონში.

ვებინარს მოდერატორობდა სამართლის ფაკულტეტის დეკანი პროფესორი გიორგი გორაძე. ონლაინშეხვედრის ფარგლებში მოხსენებებით წარდგნენ სპორტის სამართლის ექსპერტები: კარლოს მესამის უნივერსიტეტის (მადრიდი, ესპანეთი) საჯარო სამართლის პროფესორი, ესპანეთის ფეხბურთის სამეფო ფედერაციის კვლევითი პროექტის ხელმძღვანელი კარმენ პერეს გონსალესი და პომპეუ ფაბრას უნივერსიტეტის (ბარსელონა, ესპანეთი) სამართლის ფილოსოფიის პროფესორი, სპორტის ფილოსოფიის ესპანური და ლათინური ასოციაციების პრეზიდენტი ხოსე ლუის პერეს ტრივინო. ასევე, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს წარმომადგენელი, თეო ბარამიძე.

22 ივლისს სამართლის ფაკულტეტის დეკანი, გიორგი გორაძე ჩაერთო საჯარო სამართლის საერთშორისო საზოგადოების(ICON·S | THE INTERNATIONAL SOCIETY OF PUBLIC LAW) მიერ ორგანიზებულ ვებინარში თემაზე:COVID-19 პანდემიის გავლენა გენდერზე: საჯარო სამართლის სტიპენდია, პერსპექტივები და ღირებულებები. ვებინარში მონაწილეობას იღებდნენ მსოფლიოს წამყვანი უნივერსიტეტების პროფესორები. მათ შორის იყვნენ თანამედროვე ცნობილი ამერიკელი კონსტიტუციონალისტები მარკ ტაშნეტი და როზალინდ დიქსონი.

ივლისში პროლოგში დასაფინსებლად მომზადდა და გაიგზავნა პროექტი, რომელიც ეხება სამართლებრივი განათლების ონლაინ პლატფორმის შექმნას.

საქართველოში ახალი კორონავირუსის გავრცელებისა და საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შედეგად უმაღლესი სასწავლებლები გადავიდნენ ონლაინ სწავლების რეჟიმზე. ასევე, დაწესებული მნიშველოვანი შეზღუდვების გამო, გაჩნდა მოთხოვნა ონლაინ რესურსებზე - იმ მომენტისათვის განათლების მიღების ერთადერთ საშუალებაზე. აქ თავი იჩინა ცალკეულმა პრობლემებმა. შექმნილი შეზღუდვების გამო მზარდი მოთხოვნა შეიქმნა ონლაინ რესურსებზე, როგორც სამოქალაქო განათლების მიღების იმ მომენტისათვის ყველაზე ოპტიმალურ წყაროზე. მართალია, სხვადასხვა უნივერსიტეტები და, მათ შორის, საბაუნი, აგრეთვე ცალკეული არასამთავრობო ორგანიზაციები საზოგადოებას სთავაზობდნენ საჯარო ლექციებსა და ონლაინტრენინგებს, მაგრამ ეს აშკარად არ იყო საკმარისი. არ არსებობს ერთიანი სისტემატიზებული ონლაინ ბაზა, სადა თავმოყრილი იქნება ღია წვდომაში არსებული ქართული იურიდიული ლიტერატურა. სწორედ ამ პრობლემის აღმოფხვრას ემსახურება სამართლებრივი განათლების ონლაინ პლატფორმის შექმნა.

ბიზნესის და ტურიზმის ფაკულტეტი

2019-2020 სასწალო წელს სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის ბიზნესისა და ტურიზმის ფაკულტეტზე მოქმედებდა ბიზნესის ადმინისტრირების ქართულენოვანი საბაკალავრო, ბიზნეს ადმინიტრირების ინგლისურენოვანი საბაკალავრო, ტურიზმის საბაკალავრო პროგრამები და ბიზნეს ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა.

აქტიურად მიმდინარეობდა სტუდენტების მუდმივი ონლაინ კონსულტაცია ელექტრონულ რეგისტრაციებთან დაკავშირებით. სასწავლო პროცესის დაწყების წინ და შემდგომ ტარდებოდა დეკანის პერიოდული შეხვედრები სტუდენტებთან, უნივერსიტეტის და პროგრამების გაცნობის მიზნით. შეხვედრები კითხვა - პასუხისა და დისკუსიის რეჟიმში იმართებოდა.

COVID 19 პანდემიის გამოწვევებს უნივერსიტეტი და ფაკულტეტი ღირსებულად გაუმკლავდა. პროცესები გადავიდა დისტანციურ რეჟიმზე, მათ შორის ფაკულტეტის გუნდი დეკანის ხელმძღვანელობით არაერთ კონფერენციასა და თუ ვებინარში, ტრენინგსა და თუ საჯარო ლექციაში იღებდა მონაწილეობას. ფაკულტეტზე დაიგეგმა და განხორციელდა არაერთი კურიკულუმს გარე აქტივობა: ბიზნეს კონკურსი, სამეცნიერო კონფერენცია, პანელური დისკუსია, საჯარო ლექცია, ტრენინგი თუ მასტერ-კლასი. ზოგიერთი მათგანი მოდიფიცირდა და COVID 19 პანდემიით გამოწვეული გარემოებებიდან გამომდინარე განხორციელდა დისტანციურად, ონლაინ პლატფორმების გამოყენებით (იხილეთ ქვემოთ).

2019-2020 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის ელექტრონულ სწავლებაზე გადასვლის პროცესში ფაკულტეტის, სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურისა და ფაკულტეტის პროფესორ-მასწავებლების აქტიური თანამშრომლობით სწრაფ რეჟიმში მოხდა პროცესებზე გადართვა და ორგანიზება, რამაც უზრუნველყო ელექტრონული სასწავლო პროცესის მაღალი ხარისხი.

პროგრამების წარმატებით განხორციელებისა და სწავლის პროცესში სტუდენტთა მაქსიმალურად ჩართვის მიზნით ჩატარდა 12 ფაკულტეტის საბჭოს სხდომა, სადაც განხილული იყო პროგრამების მოდიფიცირებისა და მიმდინარე აქტუალური საკითხები. კერძოდ.

- ცვლილებები შევიდა ბიზნეს ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამაში: აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციებისა და რჩევების გათვალისწინების მიზნით გადაიხედა რიგი სასწავლო კურსებისა, დაკონკრეტდა სწავლის შედეგები და დაზუსტდა შეფასების კრიტერიუმები;
    - ✓ შრომის ბაზრის ანალიზის საფუძველზე პროგრამას დაემატა არჩევითი სასწავლო კურსი ,,სტარტაპების წარმოების მეთოდი“. და ამით გაძლიერდა პროგრამის ბიზნეს ადმინისტრირების მიმართულება;
    - ✓ გადაიხედა სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული ძირითადი და დამატებითი ლიტერატურა, ასევე სასწავლო კურსების წინაპირობები;
    - ✓ შეიცვალა პროგრამების სწავლის შედეგები და შემოწმდა მათი შესაბამისობა მოქმედ სტანდარტებთან და უნივერსიტეტის მარეგულირებელ წესებთან;
- გაიწერა ცხრილები ინგლისურენოვანი პროგრამის სტუდენტებისთვის, მათ შორის, 2 სტუდენტისთვის შედგა ინდივიდუალური სასწავლო გეგმა მათი მოთხოვნის საფუძველზე, რაც დამტკიცდა ფაკულტეტის საბჭოზე;
- ცვლილელები შევიდა ტურიზმის საბაკალავრო პროგრამაში:

    - ✓ შრომის ბაზრის ანალიზის საფუძველზე პროგრამას დაემატა რიგი სავაულდებულო და არჩევითი სასწავლო კურსები;
    - ✓ შეიცვალა კრედიტების რაოდენობა;
    - ✓ გადაიხედა სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული ძირითადი და დამატებითი ლიტერატურა, ასევე სასწავლო კურსების წინაპირობები;
    - ✓ შეიცვალა პროგრამების სწავლის შედეგები და შემოწმდა მათი შესაბამისობა მოქმედ სტანდარტებთან და უნივერსიტეტის მარეგულირებელ წესებთან.

- ცვლილელები შევიდა ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამაში:
    - ✓ შრომის ბაზრის ანალიზის საფუძველზე პროგრამას დაემატა რიგი სავაულდებულო და არჩევითი სასწავლო კურსები ცუფრული ტექნოლოგიების, ცირკულარული ეკონომიკის, მდგრადი განვითრებისა და გლობალიზაციის სხვა გამოწვევების საფუძველზე;

- ✓ შეიცვალა კრედიტების რაოდენობა და დატვირთვის ბადე;
- ✓ გადაიხედა სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული ძირითადი და დამატებითი ლიტერატურა, გამდიდრდა უცხოური ლიტერატურით. ასევე გადაიხედა სასწავლო კურსების წინაპირობები;
- ✓ შეიცვალა პროგრამების სწავლის შედეგები და შემოწმდა მათი შესაბამისობა მოქმედ სტანდარტებთან და უნივერსიტეტის მარეგულირებელ წესებთან.

ფაკულტეტი აქიურად იყო ჩართული ავტორიზაციისთვის მოსამზადებელ საქმიანობასა და ღონისძიებების ორგანიზებაში. კერძოდ: ავტორიზაციის ექსპერტებთან დეკანის, პროგრამის ხელმძღვანელების, აკადემიური და მოწვეული პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების შეხვედრების მომზადება და ორგანიზება. ასევე დოკუმენტების შემუშავებაში.

ფაკულტეტზე ჩატარდა აკადემიური კონკურსი პროგრამებში შეტანილი ცვლილებების საჭიროებებიდან გამომდინარე.

მიმდინარეობს მუშაობა ინგლისურ ენოვანი სამაგისტრო პროგრამაზე ,,საერთაშორისო ბიზნესი და ტექნოლოგიები“.

ფაკულტეტის ორგანიზებითა და ინიციატივით ჩატარდა წლის შემაჯამებელი ღონისძიება, სადაც გაიმართა ჩამოთვლილი ღონისძიებების დაჯილდოვების ცერემონია, ასევე უნივერსიტეტის სტუპენდიანტების დაჯილდოვება. კურსდამთავრებულთა დაბრუნების წვეულება და საფუძველი ჩაეყარა ალუმნი კლუბის დაარსებას.

გაზაფხულის სემესტრის დამამთავრებელი კურსის სტუდენტებისთვის სავალდებულო კომპონენტის - საბაკალავრო პროექტის დაცვის მიზნით, სემესტრის დასაწყისშივე მოხდა სტუდენტების მხრიდან სასურველი მიმართულების, ხელმძღვანელისა და პროექტის არჩევა. სემესტრის დასრულებისას სტუდენტებმა საბაკალავრო პროექტები წარმოადგინეს საჯარო დაცვაზე.

ფაკულტეტზე გამოვლინდა 9 სტიპენდიანდი, წინა სემესტრის სემესტრული მაჩვენებლების მიხედვით (ფაკულტეტზე მოქმედებს საბას სსტიპენდია, ბაზისბანკის სტიპენდია და ფაკულტეტის სტიპენდია).

აღსანიშნავია, რომ ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამას 2020 სასწავლო წელს ჰყავს 24 კურსდამთავრებული, ხოლო ტურიზმის საბაკალავრო პროგრამას 2020 წელს ჰყავს 19 კურსდამთავრებული.

2019-2020 სასწავლო წელს ბიზნეს ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამაზე მაგისტრის ხარისხი მიენიჭა 5 მაგისტრს.

კურიკულუმს გარე აქტივობები

2019-2020 სასწავლო წლის დასაწყისში დაიგეგმა კურიკულუმს გარე აქტივობები, რაც განხორციელდა კიდეც სემესტრის განმავლობაში. კერძოდ:

✓ კერძოდ: ფაკულტეტის დეკანის პროფ. თამთა მიქაბერიძის მიერ გაიმართათა LIVE შეხვედრების ციკლი:

- ჩატარდა ონლაინ ღია კარის შეხვედრა, სადაც დეკანმა საზოგადოებას გააცნო ბიზნესისა და ტურიზმის ფაკულტეტი, ისაუბრა განხორციელებული პროგრამების, პროექტების, ღონისძიებებისა და დაგეგმილი სიახლეების შესახებ;
- გაიმართა LIVE შეხვედრა ბიზნესის ადმინისტრირების ქართულენოვანი და ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამების შესახებ, რომელშიც მონაწილეობას იღებდა საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებული, საბაუნის მაგისტრანტი, ერასმუს + გაცვლითი პროგრამის მონაწილე ია ქიწბაბაშვილი;
- გაიმართა LIVE შეხვედრა ტურიზმის აბაკალავრო პროგრამის შესახებ;
- გაიმართა LIVE შეხვედრა ბიზნესის ადმინისტრირების საგამისტრო პროგრამის შესახებ, რომელიც წარადგინა პროგრამის ხელმძღვანელმა აფილირებულმა პროფესორმა ნინო პაპაჩაშვილმა.

✓ საბაუნის მოსწავლეთა აკადემიის ფარგლებში გაიმართა ონლაინ ტრენინგი მოსწავლეებისთვის თემაზე: პროფესია ბიზნეს ადინისტრირება. მენეჯმენტი - ტრენერი ფაკულტტის დეკანი, პროფ.თამთა მიქაბერიძე

✓ საბაუნის მოსწავლეთა აკადემიის ფარგლებში სხვადასხვა პერიოდში გაიმართა ტრენინგების ციკლი ბიზნესისა და ტურიზმის მიმართულებით სამიზნე ჯგუფებში. რომელსაც უძღვებოდნენ ფა,კულტეტის პროფესო-მასწავლებლები: პროფ. მ.თავართქილაძე, პროფ. ი.ხოხაშვილი, სოც. პროფ. დ.კობახიძე, ასოც. პროფესორი გ.გელიაშვილი, ასისტ. პროფ. მ.ხაჩიძე, გ.ჩხიკვაძე, გ.ჩერქეზიშვილი, ნ.კერესელიძე.

✓ ფაკულტეტის სტუდენტებისთვის ჩატარდა საჯარო ლექციები და სემინარები სხვადასხვა თემატიკით:

- საჯარო ლექცია თემაზე: Economic Freedom and Achievements of Georgia - Economic and Legal Aspects – ლექციას უძღვებოდა ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის თანაავტორი, გამოჩენლი მეცნიერი პროფ.რობერტ ლოუსონი;
- პანელური დისკუსია – კარიერის დაგეგმვა და პროფესიული გამოწვევები;
- პრაქტიკული სემინარი თემაზე: „სოციალური მეწარმეობა: არსი, ინოვაციები, შესაძლებლობები“ ჩატარდა 2019 წლის 12 დეკემბერს. სემინარს უძღვებოდა საქართველოს სტრატეგიული კვლევისა და განვითარების ცენტრის სოციალური მეწარმეობის ახალგაზრდული პროგრამის ხელმძღვანელი გიგა ჩიტიშვილი;
- სამეცნიერო-პრაქტიკული სემინარი ინდუსტრიული განვითარების მნიშვნელობის შესახებ ჩატრდა 2019 წლის 21 დეკემბერს. სემინარს უძღვებოდნენ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი გია ჟორჟოლიანი და ასოცირებული პროფესორი ეკა ლეკაშვილი. ამასთან, წარდგენილ იქნა ერიკ რეინერტის წიგნის „როგორ გამდიდრდნენ მდიდარი ქვეყნები ...და რატომ რჩებიან ღარიბი ქვეყნები ღარიბებად“ ქართული თარგმანის პრეზენტაცია (მთარგმნელები ტატო ხუნდაძე და ივანე აბრამაშვილი. გამომცემულია საზოგადოებრივი კვლევის ცემტრისა და კავკასიის სახლის მიერ 2019 წელს);

- პოლონეთის ნიკოლას კოპერნიკის უნივერსიტეტის პიოტრ სემატკოვსკის სემინარი თემაზე „ევროპის კავშირის აღმოსავლეთის პარტნიორობის პროგრამა“ ჩატარდა 2019 წლის 19 დეკემბერს;
- ონლაინ საჯარო ლექცია „როგორ მივაღწიოთ წარმატებას“ - საბაუნის ბიზნესისა და ტურიზმის ფაკულტეტის აფილირებული ასოცირებული პროფესორი დიმიტრი კობახიძე

✓ ჩატარდა ონლაინ ტრენინგი თემაზე - ,,ემოციური ინტლექტი“. ტრენერი: საბაუნის ბიზნესისა და ტურიზმის ფაკულტეტის აფილირებული ასისტენტ-პროფესორი მარიამ ხაჩიძე.

✓ ჩატარდა ფაკულტეტის ყოველწლიური IV სტუდენტური უნივერსიტეტთაშორისი კონფერენცია, გამოვლინდა 2 საუკეთესო ნაშრომი: 1. საქართველო - ევროკავშირის სავაჭრო ურთიერთობის პერსპექტივები” (საბაუნი). 2 „საქართველოს პოტენციური ზრდა - პრობლემები და პერსპექტივები“(თსუ). გამარჯვებულებს უფლება მიეცათ ხელმძღვანელის თანაავტორობით ნაშრომები წარადგინონ განვითარების კვლევების ინსტიტუტის პირველ შრომების კრებულში;

✓ ჩატარდა უნივერსიტეტის II სტუდენტური, და ფაკულტეტის V უნივერსიტეტთაშორისი კონფერენცია. გამოვლინდა 2 საუკეთესო ნაშრომი: 1. „ზოგიერთი რეგულაციის გავლენა მომხმარებლის კეთილდღეობაზე“ 2. „ციფრული ეკონომიკა - გამოწვევები და პერსპექტივები“. გამარჯვებულები მონაწილეობას მიიღებენ საზაფხულო სკოლა ,, თავისუფლება, სამართალი და ეკონომიკა“ (ორგანიზატორები: ,,ევროპის ეკონომიკური ცოდნის ინსტიტუტი“ და ,,ახალი ეკონომიკური სკოლა-საქართველო“).

✓ დაიბეჭდა ფაკულტეტის მე-3 და მე-4 კონფერენციის საუკეთესო ნაშრომების კრებული;

✓ ჩატარდა ბიზნეს ქეისების კონკურსი, სადაც მონაწილეობა მიიღო 30-ზე მეტმა სტუდენტმა, გამოვლინდა გამარჯვებულები;

- ✓ ბიზნეს ადმინისტირების ქართული და ინგლისურენოვანი, და ტურიზმის პროგრამის სტუდენტების მონაწილეობით გაიმართა გასვლითი ლექცია კომპანია ლიდერ-ფუდში.
- ✓ ტურიზმის ფაკულტეტის 2 სასწავლო კურსის - ,,ენოგასტრონომიისა“ და ,,საქართველოს ტურისტული მარშრუტების“ ფარგლებში მოეწყო გასვლითი საველე სამუშაო, სადაც სტუდენტმა მოინახულეს გრემი, ნეკრესი, და ღვინის მარნები. დგილზე დააგემოვნეს ღვინო და გაეცნენ ყურძნის ჯიშებს.

კონფერენცია-ვებინარი, საერთაშორისო თანამშრომლობა და კვლევითი პროექტები

ბიზნესისა და ტურიზმის ფაკულტეტზე გაიმართა პანელური დისკუსია თემაზე - ეკონომიკის, ბიზნესის, ტურიზმის ასპექტები; საუბრები ეკონომიკურ განვითარებაზე. ღონისძიება გაიმართა COVID 19-ის გამოწვევები საქართველოში საბაუნის პანელურ დისკუსითა ციკლის ფარგლებში განხილულ იქნა ქვეყნის საერთაშორისო ეკონომიკურ სისტემაში ჩართვის პერსპექტივები, დასაქმების, ინვესტიციების საკითხები, განიხილეს სოციალური პასუხისმგებლობლობის, სახელმწიფო-კერძო პარტნიორობის როლი და მნიშვნელობა პოსტკრიზისულ სიტუაციებში. აქცენტი გაკეთდა გლობალურ ეკოლოგიურ საკითხებსა და ტურიზმის ახალი პროდუქტების განვითარების მნიშვნელობაზე რეგიონული ასპექტით. პანელს მოდერატორობას უწევდა და მოხსენებით წარსდგა ბიზნესისა და ტურიზმის ფაკულტეტის დეკანი პროფ. თამთა მიქაბერიძე, პანელზე მოხსენებით წარსდგნენ ასევე ფაკულტეტის აფილირებული პერსონალი: პროფ. ნინო პაპაჩაშვილი, პროფ. იზოლდა ხოხაშვილი, პროფ. მარინე თავართქილაძე, ასოც. პროფ. შორენა ფარჯიანი, ასოც. პროფ. გვანცა გელიაშვილი, გიორგი ჩხიკვაძე. პანელის მუშობაში მონაწილეობას იღებდნენ მოწვეული ექსპერტები, სტუდენტები და სხვა დაინტერესებული პირები.

❖ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ორგანიზებით გამართულ ვებინარში თემაზე „კოვიდთან დაკავშირებული კრიზისი ტურიზმში და მასთან გამკლავების გზები“, მონაწილეობას იღებდა ბიზნესისა და ტურიზმის ფაკულტეტის დეკანი, სადაც ისაუბრა ტურიზმის სექტორში განათლების გამოწვევების შესახებ.

❖სამოქალაქო განათლების პედაგოგთა ფორუმის ინიციატივითა და მასთან თანამშრომლობით გაიმართა ონლაინ კონფერენცია თემაზე COVID-19 გამოწვევები საქართველოსა და მსოფლიოში და მისგან ნასწავლი გაკვეთილები. - მომხსენებელი განვითარების კვლევების ინსტიტუტის დირექტორი პროფ. ნინო პაპაჩაშვილი

❖სამოქალაქო განათლების პედაგოგთა ფორუმის ინიციატივითა და მასთან თანამშრომლობით გაიმართა ტრენინგი პედაგოგებისთვის - „სამეწარმეო უნარები ეკონომიკური გავნითარებისთვის“. მომხსენებელი: ბიზნესისა და ტურიზმის ფაკულტეტის აფილირებული პროფესორი ნინო პაპაჩაშვილი.

❖საბაუნის მოსწავლეთა აკადემიისა და ახალი ეკონომიკური სკოლა-საქართველოს თანამშრომლობით უფროსკლასელებისთის განხორციელდა პროექტი - მომავალ მეწარმეთა სკოლა - ტრენერი ფაკულტის აფილირებული ლექტორი გიორგი ჩხიკვაძე.

❖საბაუნის ბიზნესისა და ტურიზმის ფაკუტეტსა და ტორუნის უნივერსიტეტის პოლიტიკური მეცნიერებებისა და უსაფრთხოების ფაკულტეტს შორის გაფორმდა მემორანდუმი, რომლის მიზანია სამეცნიერო მიმართულებით თანამშრომლობა. კერძოდ, თანამშრომლობა ეხება საბაუნის განვითარების კვლევების ინსტიტუტსა და ტორუნის საერთაშორისო კვლევების ჟურნალს შორის კვლევითი მიმართულების გაძლიერებას, ასევე ჩვენი მეცნიერების ჩართვას სარედაქციო და შემფასებელ კოლეგიაში. თანამშრომლობა ითვალისწინებს კვლევებისა და გამოქვეყნებული ნაშრომების ხარისხის გაუმჯობესებას; კვლევების ინტერნაციონალიზაციის ზრდას; ჟურნალის პოპულარიზაციის ზრდის ხელშეწყობას საერთაშორისო ასპარეზზე; მხარეთა კვლევების ხილვადობის ზრდის ხელშეწყობას მსოფლიო ასპარეზზე; ჟურნალის წარდგენას სკოპუსის ბაზაში.

❖ფაკულტეტზე არსებული განვითარების კვლევების ინსტიტუტის ხელშწყობით ბიზნესისა და ტურიზმის ფაკულტეტის 5-მა (4-მა აფილირებულმა და ერთმა მოწვეულმა) პროფესორმა მონაწილეობა მიიღო საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციაში (და შესაბამისად გამოაქვეყნა ნაშრომები) „ბიზნესის სტრატეგია: ფუტუროლოგიური გამოწვევები“, რომელიც გაიმართა 2019 წლის 20-22 ნოემბერს. https://www.bsfucon.org/

ელექტრონულად გამოქვეყნდა საკონფერენციო ნაშრომების კრებული:
https://56d7b6b3-0d1f-45d1-93f4-bcec91012c86.filesusr.com/ugd/1d34df_b5dece4c354247df8a2af133a71ea1dd.pdf
Стратегія бізнесу: футурологічні виклики: Зб. Матеріалів Міжнародної, науково-практичної інтернет-конференції [Електронний ресурс]. – К.:КНЕУ, 2019. 495 [1] с. ISBN 978–966–926–310–0.

❖განვითარების კვლევების ინსტიტუტის ხელმძღვანელის პროფ. ნინო პაპაჩაშვილისა და ფაკულტეტის დეკანის პროფ. თამთა მიქაბერიძის თანავტორობით კლაიპედას უნივერსიტეტისა (ლიეტუვა) და ლიეპაჟას უნივრსიტეტის (ლატვია) მიერ მომზადდა მონოგრაფია BUSINESS MANAGEMENT INSIGHTS AND TRANSFORMATION PROCESS: SOCIAL, ECONOMIC AND CULTURAL ASPECTS.

❖განვითარების კვლევების ინსტიტუტის ინიცირებით, პროფ. ნ. პაპაცაშვილის, პროფ. თ.მიქაბერიძისა და პროფ. მ.თავართქილაძის მიერ ითარგმნა UNIDO-ს ანგარიში Industrializing in the digital age.

❖ინსტიტუტის მიერ ინიცირებულია: :

ა) ბულგარეთის ახალ ბულგარულ უნივერსიტეტთან თანამშრომლობა (მიმდინარეობს მოლაპარაკება);

ბ) საფრანგეთის პიკარდის ჟიულ ვერნის უნივერსიტეტთან თანამშრომლობა (მიმდინარეობს მოლაპარაკება);

გ) ნორვეგიის ოსტფოლდის საუნივერსიტეტო კოლეჯთან თანამშრომლობა (მიმდინარეობს მოლაპარაკება).

საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური

წარმოგიდგენთ 2019-2020 წლის შემოდგომის სემესტრზე უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიით აქტივობების ანგარიშს.

სტუდენტებისა და პერსონალის მობილობის ხელშეწყობა:
სტუდენტების მობილობა:
2019-2020 წლის აკადემიური წლის განმავლობაში სულხან-საბა ორბელიანის ცხრა სტუდენტმა მიიღო მონაწილეობა გაცვლით პროგრამაში და ერთი სემესტრით ისწავლა უცხოეთის პარტნიორ უნივერსიტეტებში. აქედან, ერთმა სტუდენტმა გააგრძელა მობილობის პერიოდი და სრულად ერთი აკადემიური წელი ისწავლა ლუბლინის კათოლიკურ უნივერსიტეტში.

1. ნაზი თაქთაქიშვილი (საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამა) კარდინალ სტეფან ვიშინსკის უნივერსიტეტი ვარშავაში (პოლონეთი), FUCE-ს სასწავლო გრანტი
2. მაგდა მათითაიშვილი (თეოლოგიის საბაკალავრო პროგრამა) კარდინალ სტეფან ვიშინსკის უნივერსიტეტი ვარშავაში(პოლონეთი), FUCE-ს სასწავლო გრანტი
3. ტარიელ ლელუაშვილი (თეოლოგიის საბაკალავრო პროგრამა) კარდინალ სტეფან ვიშინსკის უნივერსიტეტი ვარშავაში (პოლონეთი), FUCE-ს სასწავლო გრანტი
4. ვანო ტატულაშვილი (სამართლის სამაგისტრო პროგრამა), ლუბლინის იოანე პავლე მეორის კათოლიკური უნივერსიტეტი (პოლონეთი) (გაცვლითი პროგრამა) (ორი სემესტრი)
5. ია კიწბაბაშვილი (ბიზნესის სამაგისტრო პროგრამა), ვალიადოლიდის უნივერსიტეტი (ესპანეთი) Erasmus+ KA107 ICM
6. ლარისა ჭკადუა (ბიზნესის საბაკალავრო პროგრამა) ვალიადოლიდის უნივერსიტეტი (ესპანეთი) Erasmus+ KA107 ICM
7. მარი დოღონაძე (თეოლოგიის საბაკალავრო პროგრამა) ლიონის კათოლიკური უნივერსიტეტი (საფრანგეთი) Erasmus+ KA107 ICM

8. მარიამ ტყაბლაძე (სამართლის სამაგისტრო პროგრამა), ლუბლინის იოანე პავლე მეორის კათოლიკური უნივერსიტეტი (პოლონეთი) Erasmus+ KA107 ICM
9. მარიამ ნატროშვილი (სამართლის სამაგისტრო პროგრამა) ლუბლინის იოანე პავლე მეორის კათოლიკური უნივერსიტეტი (პოლონეთი) (გაცვლითი პროგრამა)

2019-2020 აკადემიური წლის მეორე სემესტრში დაგეგმილი მობილობები, მიუხედავად შექმნილი მდგომარეობისა, განხორციელდა წარმატებით. სტუდენტების ნაწილი, პანდემიის გამო დაბრუნდა საქართველოში და ონლაინ რეჟიმში დაასრულა სწავლა. ნაწილი კი დარჩა მასპინძელ უნივერსიტეტში სემესტრის დასრულებამდე.

მიმდინარე წლის ივლისში, FUCE- ს მიერ დაგეგმილ საზაფხულო სკოლაში „ევროპული ჰუმანიზმი ჩამოყალიბების პროცესში“ მონაწილეობისათვის უნივერსიტეტიდან შეირჩა ორი სტუდენტი, თუმცა, აღნიშნული პანდემიის მდგომარეობის გამო, ღონისძიება გადაიდო მომავალი წლისათვის.

FUCE-ს სასწავლო გრანტის მოსაპოვებლად უნივერსიტეტიდან შეირჩა ჰუმანტიარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამი სტუდენტი: ზურა მურვანიძე, მარიამ ჯიქურაშვილი და ანი ოსეფაშვილი, რომელთა შესახებ დასკვნითი პასუხი გახდება ცნობილი ივლისის ბოლოს, ფედერაციის საგანგებო კომისიის მიერ. სტუდენტების მობილობა დაგეგმილია 2020-2021 წლის გაზაფხულის სემესტრზე კარდინალ სტეფან ვიშინსკის უნივერსიტეტში (პოლონეთი).

პერსონალის მობილობა:

2019-2020 წლის განმავლობაში განხორციელდა ერთი (1) აკადემიური პერსონალის მობილობა უცხოეთის უნივერსიტეტში და სამი (3) უცხოელი კოლეგის ვიზიტი საბაუნიში.

1. გიორგი მესხი, (სამართლის ფაკულტეტი) ლიონის კათოლიკური უნივერსიტეტი (საფრანგეთი) Erasmus+ KA107 ICM
2. ელი აირულე (ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი), ლიონის კათოლიკური უნივერსიტეტი (საფრანგეთი) Erasmus+ KA107 ICM STA
3. რუტა სიმონავიტიუკე (საერთაშორისო ურთიერთობების განყოფილება), ლიონის კათოლიკური უნივერსიტეტი (საფრანგეთი) Erasmus+ KA107 ICM STT
4. პიოტრ სიემიატკოვსკი (საერთაშორისო ურთიერთობების პროგრამა), ტორუნის ნიკოლას კოპერნიკის უნივერსიტეტი (პოლონეთი) Erasmus+ KA107 ICM STA

გარდა ამისა, ვუმასპინძლეთ 4 (ოთხი) უცხოური უნივერსიტეტის დელეგაციას, რომლებთანაც დაიგეგმა ერთობლივი პროექტები:

1. ლინცის კათოლიკური უნივერსიტეტი (ავსტრია)
2. ოლომუსის უნივერსიტეტი (ჩეხეთი)
3. ფრაიბურგის კათოლიკური უნივერსიტეტი (გერმანია)
4. ლუბლინის კათოლიკური უნივერსიტეტი (პოლონეთი)

შექმნილი მდგომარეობის გამო შემდეგი წლისთვის გადაიდო 2019-2020წლის გაზაფხულის სემესტრზე დაგეგმილი 15 (თხუთმეტი) აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის მობილობა, აქედან 10 (ათი) წამსვლელი და 5 (ხუთი) ჩამომსვლელი მობილობაა:

1. ირაკლი ჯავახიშვილი (საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამა), ტორუნის ნიკოლას კოპერნიკის უნივერსიტეტი (პოლონეთი) Erasmus+ KA107 ICM STA
2. გიორგი გორაძე (სამართლის ფაკულტეტი), ლუბლინის იოანე პავლე მეორის კათოლიკური უნივერსიტეტი Erasmus+ KA107 ICM STA
3. სოფო მეტრეველი (ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი), კრაკოვის იოანე პავლე მეორის პონტიფიკური უნივერსიტეტი (პოლონეთი), Erasmus+ KA107 ICM STA

4. ირმა წულაია (ადამიანური რესურსების მენეჯერი) ლიონის კათოლიკური უნივერსიტეტი (საფრანგეთი) Erasmus+ KA107 ICM STT
5. ვოვა სახელაშვილი (რექტორის მრჩეველი სტრატეგიულ საკითხებში) ლიონის კათოლიკური უნივერსიტეტი (საფრანგეთი) Erasmus+ KA107 ICM STT
6. თამთამ მიქაბერიძე (ბიზნესის და ტურიზმის ფაკულტეტის დეკანი) ლუბლინის მეწარმეობისა და ადმინისტრირების საუნივერსიტეტო კოლეჯი Erasmus+ KA107 ICM STA
7. თამთა მიქაბერიძე, ნოტრ დამის უნივერსიტეტი, ნანოვიჩის ინსტიტუტი, ლიდერობის ტრენინგი, აშშ
8. ირმა წულაია, ნოტრ დამის უნივერსიტეტი, ნანოვიჩის ინსტიტუტი, ლიდერობის ტრენინგი, აშშ
9. ირაკლი ჯავახიშვილი, ნოტრ დამის უნივერსიტეტი ნანოვიჩის ინსტიტუტი, ლიდერობის ტრენინგი, აშშ
10. გიორგი გორაძე, ნოტრ დამის უნივერსიტეტი ნანოვიჩის ინსტიტუტი, ლიდერობის ტრენინგი, აშშ
11. კშიშტოფ ვიაკი (სამართლის ფაკულტეტი) ლუბლინის იოანე პავლე მეორის კათოლიკური უნივერსიტეტი Erasmus+ KA107 ICM STA
12. პავოლ ლაბუდა (ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი), რუჟომბეროკის კათოლიკური უნივერსიტეტი (სლოვაკეთი) Erasmus+ KA107 ICM STA
13. რადოსლავ ლოიანი (ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი) რუჟომბეროკის კათოლიკური უნივერსიტეტი (სლოვაკეთი) Erasmus+ KA107 ICM STT
14. ფრედერიკ ლამანტია (ლიონის კათოლიკური უნივერსიტეტი) Incoming STA, Erasmus+ KA107 ICM
15. ნატალი პოტინი (ლიონის კათოლიკური უნივერსიტეტი) Incoming STA, Erasmus+ KA107 ICM

გარდა ამისა, 2020-2021 წლისათვის დარჩენილია 4 პერსონალის მობილობა, რომელსაც გამვოაცხადებთ შემდეგი აკადემიური წლისთვის უცხოეთის უნივერსიტეტში და ორი მობილობა საბაუნიში.

2019 წლის დასასრულს საბაუნის ეწვია წმიდა საყდრის სახელმწიფო მდივანი, კარდინალი პიეტრო პაროლინი. ნოემბერში საბაუნის ადმინისტრაცია ეწვია მსოფლიო პატრიარქ ბართლომეს. ამავე ვიზიტის ფარგლებში ადმინისტრაციის წევრებმა მოინახულეს ქართველთა სავანე ფერიქოში, რომელსაც პატრონაჟს კათოლიკე მეცენატები, ზაზაძეების ოჯახი უწევს.

საერთაშორისო ქსელებში გაწევრიანება, პარტნიორობის გაფართოება განსაკუთრებით საერთო ინტერესების მქონე უნივერსიტეტებთან

მიმდინარე წლის განმავლობაში, გაფორმდა 4 (ოთხი) საერთაშორისო მემორანდუმი თანამშრომლობის შესახებ, დაგეგმილია კიდევ ერთი მემორანდუმის გაფორმება სექტემბერში.

1. ფრაიბურგის კათოლიკური უნივერსიტეტი (გერმანია)
2. ოლომუსის პალაცკი უნივერსიტეტი (ჩეხეთი)
3. ლინცის კათოლიკური უნივერსიტეტი (ავსტრია)
4. სიერა ლეონეს უნივერსიტეტი (სიერა ლეონე, აფრიკა)
5. მოლდოვის თავისუფალი საერთაშორისო უნივერსიტეტი (მოლდოვა) (დაგეგმილია)

საბაუნის სამართლის ფაკულტეტი გახდა ევროპის სამართლის ფაკულტეტების ასოციაციის (elfa) წევრი.

აკადემიური პერსონალის კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა

2019-2020 წლის შემოდგომის სემესტრზე, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორმა, ირმა ტალახაძემ სლოვაკეთის მთავრობის კვლევითი გრანტით სამი თვე იმუშავა რუჟომბეროკის კათოლიკურ უნივერსიტეტში (სლვაკეთი). შემდეგი

აკადემიური წლისათვის, ამ კვლევით გრანტზე განაცხადი გაკეთებული ჰქონდა საბაუნის 2 პროფესორს, თუმცა, ორივე შემთხვევაში უარყოფითი პასუხი მოვიდა.
კოვიდ 19-ის გამო, გადავადდა საბაუნის 2 (ორი) პროფესორის, თამთამ მიქაბერიძისა და შორენა გოგიაშვილის კვლევითი გრანტი(PROM) ლუბლინის კათოლიკურ უნივერსიტეტში.
ასევე, ვერ განხორციელდა სამართლის ფაკულტეტის დეკანის, პროფ. გიორგი გორაძის ერთთვიანი კვლევითი გრანტის განხორციელება ნოტრ დამის უნივერსიტეტში (აშშ).

საერთაშორისო კონფერენციები: 2

კოვიდ პანდემიის გამო, მოდევნო წლისთვის გადაიდო 20 მაისს ნოტრ დამის უნივერსიტეტთან ერთად საბაუნიში დაგეგმილი საერთაშორისო კონფერენცია „დემოკრატიის გამოწვევები“, მის ნაცვლად 12 ივნისს ონლაინ რეჟიმში ჩატარდა კოვიდ-19 ის შედეგებსა და გამოწვევებზე მიძღვნილი ვებინარი, რომელშიც მონაწილეობდნენ პარტნიორები ამერიკიდან, სლოვაკეთიდან, პოლოეთიდან, უნგრეთიდან და უკრაინიდან.

ასევე, ონლაინ რეჟიმში გაიმართა Free Market Road Show, რომელსაც საბაუნის ბიზნესისა და ტურიზმის ფაკულტეტმა უკვე მეორედ უმასპინძლა.

შემოდგომის სემესტრზე გადაიდო რიგით მეოთხე საერთაშორისო სიმპოზიუმი „კათოლიკური მემკვიდრეობა საქართველოში“, მესამე კონფერნცია „პოსტსაბჭოთა კვლევებში , რიგით მესამე კონფერენცია „სამართალი და მსოფლიო უსაფრთხოება“.

2020-2021 წლის შემოდგომის სემესტრზე დაგეგმილია 4 (ოთხი) საერთაშორისო კონფერენცია

საბაუნის სამართლის ფაკულტეტმა მოიპოვა USAID/PROLoG კვლევით გრანტი, რომლის ფარგლებში საბაუნიში დაფუძნდა ადამიანის უფლებათა კათედრა, შემუშავდება

ექსკლუზიური სილაბუსები და შემდეგ გამოცდილების გაზიარებით დაინერგება სამცხე ჯავახეთისა და ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტებში.

ბიზნესის და ტურიზმის ფაკულტეტის პროფესორებმა, თამთა მიქაბერიძემ და ნინო პაპაჩაშვილმა მონაწილეობა მიიღეს კლაიპედას უნივერსიტეტის კვლევით პროექტში, რომლის ფარგლებში გამოიცემა მონოგრაფია BUSINESS MANAGEMENT INSIGHTS AND TRANSFORMATION PROCESS: SOCIAL, ECONOMIC AND CULTURAL ASPECTS.

2019 წლის ოქტომბერში დასრულდა Erasmus+ KA2 პროექტი სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება, მოწინავე რესურსები საქართველოსა და ჩინეთისათვის STAR, რომლის ფარგლებში უნივერსიტეტში დაფუძნდა პროფესიული განვითარების ცენტრი, შემუშავდა სახელმძღვანელო სწავლების თანამედროვე მეთოდებზე და დატრენინგდა უნივერსიტეტის პროფესურა. ცენტრი, კვლავ განაგრძობს პროფესიული ტრენეინგების ჩატარებას აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისათვის.

მიმდინარე წელს, უნივერსიტეტმა გააკეთა Erasmus+ KA107 ICM საპროექტო განაცხადი 11 უნივერსიტეტთან.
ასევე, ველით პასუხს Erasmus+ KA2 ის პროექტზე (ASPECT) და Jean Monnet ერთ პროექტზე

უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის გაუმჯობესების მიზნით საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურმა ჩაატარა სტუდენტების, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის გამოკითხვა. ჯამში მონაწილეობა მიიღო 118 სტუდენტმა, 18 ადმინისტრაციულმა პერსონალმა და 25 აკადემიურმა.

ადმინისტრაციული პერსონალის კითხვარი:
გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო თითქმის ყველა სტრუქტურული ერთეულის წარმომადგენელმა.
გამოკითხულთგან მხოლოდ ერთმა რესპოდენტმა არ ისურვა უცხოეთში წასვლა, ენის სათანადოდ არ ცოდნის გამო

კითხვაზე თუ რა სახის მხარდაჭერა სჭირდებათ უნივერსიტეტის მხრიდან, იმისათვის რომ მონაწილეობა მიიღონ საერთაშორისო პროექტებში, გამოიკვეთა შემდეგი: მეტი საინფორმაციო შეხვედრები, დოკუმენტაციის მომზადებაში დახმარება და უცხო ენების კურსი.

ადმინისტრაციის დიდი ნაწილი საკმაოდ ინფორმირებულია გაცვლითი პროგრამებისა და ჩვენი პარტნიორების შესახებ და სურვილი აქვთ ესტუმრონ პარნიორ უნივერსიტეტებს გამოცდილების გაზიარებისა და კოლეგების მხრიდან საუკეთესო პრაქტიკის მიღების მიზნით.

სტუდენტების გამოკითხვა:

მონაწილეობა მიიღო საბაუნის 118 მა სტუდენტმა.

გამოკითვაში მონაწიელობა მიიღო სამივე ფაკულტეტის ორივე საფეხურის სტუდენტებმა.

გამოკითხულთა 21.2% არ არის დაინტერესებული საერთაშორისო პროექტებით, მიზეზებიდან გამოიკვეთა უცხო ენის სათანადოდ არცოდნა (56%) ; სამსახური (18%), ეკონომიკური მდგომარეობა (24%) და სურვილის არქონა (12%).

გამოკითხულთა 89, 8% დაიტნერესებულია მონაწილეობა მიიღოს გაცვლით პროგრამაში თანადაფინანსებით.

კითხვაზე თუ რა სახის დახმარება სჭირდებოდათ იმისათვის რომ მონაწილეობა მიიღონ გაცვლით პროგრამაში, სტუდენტების 67% უცხო ენების დამატებითი კურსი დაასახელა, ხოლო 53 % მეტი საინფორმაციო შეხვედრების ორგანიზება.

სტუდენტების 83.5% ფიქრობს, რომ ინფორმაცია გაცვლით პროგრამების შესახებ ხელმისაწვდომია, ხოლო 12.5% ფიქრობს რომ არ არის სათანადოდ ხელმისაწვდომი. იმისათვის რომ ყველასათვის ხელმისაწვდომი იყოს, სტუდენტების ამ ნაწილის აზრით, კარგი იქნება თუ ლექციების დაწყებამდეც მიეწოდებათ ინფორმაცია გაცვლითი პროგრამების შესახებ და კიდევ უფრო მეტი საინფორმაციო შეხვედრები.

შენიშნვა: საინფორმაციო შეხვედრები იმართება გაცვლითი პროგრამების განაცხადის გამოქვეყნებისთანავე, სტუდენტებს ეგზავნებათ მეილები, ინფორმაცია სტუდენტური ბაზაში და სმს, თუმცა დასწრება საკმაოდ ნაკლებია ხოლმე

სტუდენტები ყველაზე ხშირად ინფორმაციას იღებენ შემდეგი საინფორმაციო წყაროებიდან: სოციალური ქსელი, სტუდენტური ბაზა, ელ ფოსტა, სმს და უნივერსიტეტის ვებ-გვერდი.

სტუდენტების დიდი ნაწილი, სასწავლებლად ისურვებდა წასვლას შემდეგ ქვეყნებში: გერმანია, საფრანგეთი, იტალია, პოლონეთი ესპანეთი, აშშ, ჩეხეთი, ნიდერლანდები და სხვ.

თავისუფალი კომენტარის სახით, სტუდნტების ნაწილმა გამოთქვა სურვილი, უფრო მეტი კონტაქტი გვქონდეს სტუდნტებთან, სტუდენტური გამოკითხვა, საინფორმაციო ვიდეო რგოლები, ფინანსური მხარდაჭერა იმ სტუდენტებისათვის ვინც ფინანსების გამო ვერ ახერხებს უცხოეთში წასვლას, კონფერენციები უცხოელ სტუდნტებთან, მეტი გაცვლით პროგრამა და წარჩინებული სტუდენტების წახალისება გაცვლით პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად.

აკადემიური პერსონალის გამოკითხვა:

გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო სამივე ფაკულტეტის აკადემიურმა პერსონალმა (დიდი ნაწილი აფილირებული)

გამოკითხულთა 8% არ არის დაინტერესებული გაცვლით პროგრამაში მონაწილეობით, მიზეზი ეკონომიკური მდგომარეობა და გადატვირთული სამუშაო გრაფიკია მითითებული.

აკადემიური პერსონალი დაიტნერესებულია თითქმის ყველა საერთაშორისო პროექტით (გაცვლითი პროგრამა, საერთაშორისო კოფნერენცია, საერთაშორისო პუბლიკაცია, მოკლე ვადიანი და გრძელვადიანი კვლევითი პროექტი, Erasmus+ პროექტები.

გამოკითხულთა 8% არ არის ინფორმირებული გაცვლითი პროგრამების შესახებ.

საინფორმაციო წყაროდ, 92% სურვილი აქვს ინფორმაცია მიიღოს ელ ფოსტის მეშვეობით.

კითხვაზე თუ რა სახის დახმარება ესაჭიროებოდათ, იმისათვის რომ უფრო აქტიურად ჩაერთოდ საერთაშორისო პროექტებში, გამოიკვეთა: დროული ინფორმირება, საბუთების მოწესრიგებაში დახმარება და უცხო ენების დამატებითი კურსის ორგანიზება.

პერსონალის დიდი ნაწილისთვის მობილობისთვის მიმზიდველია ევროკავშირის ქვეყნები, ახლო აღმოსავლეთი და აშშ.

თავისუფალ კომენტარში, ნაწილი ფიქრობს, რომ კარგი იქნება სტუდენტებზე ორიენტურობასთან ერთად ლექტორებისა და პერსონალის განვითარებაც იყოს ხელმისაწვდომი, ასევე, სურვილი აქვთ უნივერსიტეტში იყოს ერთი პირი გამოყოფილი, რომელიც დაინტერესებულ პირებს დაეხმარება განაცხადების შევსებასა და საბუთების მოწესრიგებაში.

სასწავლო პროცესის მართვის სამსახური

2019-2020 სასწავლო წლის აკადემიური კალენდრით, 2019 წლის საშემოდგომო სემესტრში სწავლა დაიწყო 23 სექტემბერს. სწავლის დაწყებამდე სტუდენტებმა გაიარეს აკადემიური/ადმინისტრაციული რეგისტრაცია, რის შემდეგაც სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ ბაზაში აეტვირთათ სალექციო-სასემინარო ცხრილი. პირველკურსელთა რეგისტრაციაზე გამოცხადებული სტუდენტებიდან საბაკალავრო საფეხურზე ჩაირიცხა 100 სტუდენტი:

1. სამართალი : - 48
2. ტურიზმი : - 20
3. ბიზნესის ადმინისტრირება: -14
4. საერთშორისო ურთიერთობები: - 11
5. თეოლოგია : - 7
6. ბიზნესის ადმინისტრირება (ინგლისურენოვანი) : 2

ხოლო მაგისტრატურის საფეხურზე ჩაირიცხა 59 სტუდენტი:

1. სამართალი : 50
2. თეოლოგია: -5
3. ბიზნესის ადმინისტრირება : -4

2019 წლის 11 ოქტომბერს სასწავლო პროცესის მართვის სამსახურმა საფინანსო სამსახურს მიაწოდა მიმდინარე სემესტრში დამატებით კრედიტებზე რეგისტრირებული სტუდენტების სახელობითი სია, გადასახდელი კრედიტების რაოდენობის მითითებით.

7 ნოემბერს აიკინძა და დაიხურა 2018-2019 სასწავლო წლის საგაზაფხულო სემესტრის უწყისების რეგისტრაციის ჟურნალი.

2 ოქტომბერს აიკინძა და დაიხურა 2019-2020 სასწავლო წლის საშემოდგომო სემესტრის სტუდენტთა მომსახურების ხელშეკრულებების რეგისტრაციის ჟურნალი.

სასწავლო პროცესის მრთვის სამსახურმა შემოსული განცხადებების საფუძველზე გასცა ცნობები, როგორც სტუდენტის სტატუსის შესახებ ასევე ფორმა 26. ცნობები გაიგზავნა მოთხოვნის შესაბამისად.

ამ ეტაპზე სასწავლო პროცესის მართვის სამსახურს აქვს წინასაგამოცდო პერიოდი.

სასწავლომ გამოცდებისთვის მზადება დაიწყო 14 ოქტომბერს პროფესორებისთვის მეილის გაგზავნით. მათ მიეცათ დედლაინი საგამოცდოების მოწოდებასთან დაკავშირებით (დედლაინი: 28 ოქტომბერი) ამ ეტაპზე გამოსაგზავნია 8 სასწავლო კურსის საგამოცდო.

სასწავლო პროცესის მართვის ელექტორნულ ბაზაში ცხრილი აიტვირთა და სტუდენტებს ეცნობათ 30 ოქტომბერს. იმ სტუდენტებისთვის, რომლებიც ვერ ახერხებენ სამსახურის/დამთხვევის/ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ჩანიშნულ გამოცდაზე გამოცხადებას, იქმნება ინდივიდუალური ცხრილი, გამოცდის გადასატანად შეთავაზებული 5 საგამოცდო დღე.

საშემოდგომო სემესტრის შუალედური გამოცდები იწყება 11 ნოემბერს და დასრულდა 22 ნოემბერს. გამოცდების გადატანასთან დაკავშირებით გამოცდების დაწყებამდე სასწავლო პროცესის მართვის სამსხურს განცხადებით მომართა 114 სტუდენტმა. აქედან 58 სტუდენტმა გამოცდა გადაიტანა დამთხვევის გამო, 36 სამსახურის ხოლო 20 სხვა მიზეზით (ჯანმრთელობის მდგომარეობა, ოჯახის წევრის გარდაცვალება და ა.შ)

საგამოცდო პროცესის მიმდინარეობისას ჩანიშნულ გამოცდაზე ვერ გამოცხადდა და განცხადება დაწერა 69 სტუდენტმა.

ჯამში ინდივიდუალური ცხრილი შედგა 183 სტუდენტისთვის 196 საგანში.

გამოცდაზე ქცევის წესების დარღვევისთვის გამოცდიდან მოიხსნა 18 სტუდენტი.

გამოცდაზე დასწრების სტატისტიკა გამოიყურება შემდეგნაირად:

11 ნოემბერი - გამოცდაზე არ გამოცხადდა 90 სტუდენტი

12 ნოემბერი - 46 სტუდენტი

13 ნოემბერი - 43 სტუდენტი

14 ნოემბერი - 39 სტუდენტი

15 ნოემბერი - 9 სტუდენტი

16 ნოემბერი - 51 სტუდენტი

18 ნოემბერი - 54 სტუდენტი

19 ნოემბერი - 36 სტუდენტი

20 ნოემბერი - 91 სტუდენტი

21 ნოემბერი - 52 სტუდენტი

22 ნოემბერი - 43 სტუდენტი

სტატისტიკის მიხედვით გამოვლინდა 8 სასწავლო კურსი სადაც დაფიქსირდა სხვა სასწავლო კურსებთან შედარებით, ცუდი დასწრება. 1) შესავალი ტურიზმში (იზოლდა ხოხაშვილი) 2) რომის სამართლის საფუძვლები; შესავალი სამართალმცოდნეობაში (გიორგი სიორიძე)
4) პოლიტიკის შესავალი 5) მენეჯმენტის საფუძვლები (მარიამ ხაჩიძე) 6) მიკროეკონომიკის პრინციპები (გვანცა გვიჩია) 7) სანივთო (ქონებრივი) სამართალი (ნინო ქათამაძე) 8) შესავალი საკონტიტუციო სამართალში (თამარ პაპაშვილი)

25 ნოემბერს გაკეთდა ბაზაში ლექტორთა მიერ სტუდენტთა მიმდინარე გამოკითხვების შეტანის მონიტორინგი. პროფესორებს გაეგზავნათ მეილები აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და ქულების შესატანად მიეცათ 1 კვირიანი ვადა.
დეკემბრის პირველ კვირაში სტუდენტებს ლექციის მსვლელობის დროს ჰქონდათ შესაძლებლობა გასცნობოდნენ შუალედური გამოცდების ნაშრომებს. გამოცდების დასრულებიდან ორი კვირის შემდგომ სასწავლომ დააარქივა საგამოცდო ნაშრომები
დეკემბრის თვეში სასწავლო პროცესის მართვის სამსახურმა კიდევ ერთხელ განახორციელა იმ სტუდენტების ინფორმირება, რომელთაც ნაკლული საბუთები უფიქსირდებათ პირად საქმეში.
დეკემბრის ბოლოს დაიწყო მზადება დასკვნითი გამოცდებისთვის, რომელიც აკადემიური კალენდრით გაწერილია 27 იანვრიდან 8 თებერვლის ჩათვლით. 27 დეკემბერს პრფოფესორებს გაეგზავნათ შეტყობინება და მიეცათ ვადა საგამოცდოების გადმოსაგზავნად. ასევე ინფორმაცია მივაწოდეთ ბაზის დახურვასთან დაკავშირებით

ბიბლიოთეკა

2019-2020 სასწავლო წლის დასაწყისში, ბიბლიოთეკაში განხორციელდა პირველკურსელთა რეგისტრაცია. ბიბლიოთეკაში გაწევრიანდა 190 მკითხველი.
2019-2020 სასწავლო წელს ბიბლიოთეკის ფონდს დაემატა:

- წიგნი - 607
- პერიოდიკა - 42
- რიდერი - 7
- ელ. ვერსია - 532

2019-2020 წლის საშემოდგომო სემესტრში, ბიბლიოთეკამ საკონსულტაციო შეხვედრა ჩაატარა პირველკურსელებთან. საკონსულტაციო შეხვედრა მიმდინარეობდა ორ ეტაპად. თავდაპირველად ჩატარდა 1-ელ ოქტომბერს, ხოლო შემდგომი შეხვედრა 11 ოქტომბერს. საკონსულტაციო შეხვედრის ძირითადი თემები იყო: ელექტრონულ კატალოგში ძიების განხორციელება, ელექტრონული წიგნების გაცნობა და წაკითხვა, ელექტრონული სამეცნიერო ბაზების გამოყენება: EBSCO, HeinOnline, Elsevier: Scopus, Science Direct,Scival Funding(Funding Institutional) ბიბლიოთეკის სარგებლობის წესის გაცნობა.

1 ნომებერს, ელსევიერის ბაზების Scopus, Science Direct და Scival Fiunding(Funding Institutional)- ის მოხმარებასთან დაკავშირებით, ჩატარდა ვებინარი.

ვებინარი მიზნად ისახავდა კონსორციუმის წევრი ორგანიზაციების წარმომადგენლებისთვის ბაზების მოხმარებასთან დაკავშირებული ინფორმაციის მიწოდებას. ვებინარში, დაინტერესებული პირები ჩაერთვნენ, ონლაინ რეჟიმში (დისტანციურაად)

ბიბლიოთეკა ჩართული იყო საპილოტე ავტორიზაციის სამუშაო პროცესში. ბიბლიოთეკარებმა ექსპერტებს მიაწოდეს სრული ინფორმაცია ბიბლიოთეკის საქმიანობის შესახებ.

2019 წელს ჩატარდა ბიბლიოთეკის ფონდის სრული ინვენტარიზაცია.

12 დეკემბერს ბიბლიოთეკის ორგანიზებით ჩატარდა EBSCO - ს ელექტრონული ბაზების პრაქტიკული გამოყენების ტრენინგი.

ტრენინგი მიზნად ისახავდა მომხმარებლებისათვის EBSCO Package-ში გაერთიანებული ელექტრონული ბაზების გაცნობის, გამოწერისა და პრაქტიკული გამოყენების პროცედურების შესწავლას.

2020 წლის იანვარში, უნივერსიტეტი გახდა საქართველოს ბიბლიოთეკების ინტეგრირებული საინფორმაციო ქსელის კონსორციუმის წევრი. ამ პერიოდიდან ჩვენი სამეცნიერო ბაზების ჩამონათვალმა საკამაოდ მოიმატა და დაგვემატა მსოფლიოში აღიარებული შემდეგი სამეცნიერო ბაზები:

- Cambridge Journals Online
- Edward Elgar Publishing Journals and Development Studies e-books
- Edward Elgar Publishing Journals
- SAGE Journals
- IMechE Journals
- Royal Society Journals Collection
- e-Duke Journals Scholarly Collection
- Mathematical Sciences Publishers Journals
- Openedition Journals

6 თებერვალს, (06.02.2020) სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში, ჩატარდა სამეცნიერო ბაზების გამოყენების და წყაროების მოძიების ტრენინგი. ტრენინგი ჩაატარა უნივერსიტეტის პრორექტორმა, პროფესორმა დიმიტრი გეგენავამ. ტრენინგზე ყველა არსებული სამეცნიერო ბაზის, პრაქტიკული გამოყენების, ჩვენება განხორციელდა.

07 თებერვალს (07.02.2020) სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში გაიმართა წიგნების პრეზენტაცია:

1. "ეკლესიის სოციალური მოძღვრების სახელმძღვანელო: კათოლიკე ეკლესიის სოციალური აზროვნების კონცეფცია, ევოლუცია და პრინციპები"; ავტორი: ჯავახიშვილი ირაკლი; ბაგაური მარიამ -თბ.,სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2020
2. "ეკლესიის სოციალური მოძღვრების კომპენდიუმი" იოანე პავლე II-ს, სოციალური მოძღვრების მასწავლებელს, სამართლიანობისა და მსვიდობის სახარებისეულ მოწმეს. მთარგმნ.: მამა აკაკი ჭელიძე, ირაკლი ჯავახიშვილი; რედ.: მერაბ რაღანიძე, კონსტანტინე აკოფაშვილი; სამართლიანობისა და მშვიდობის პონტიფიკური საბჭო. -თბ.,სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2019.

თებერვლის თვეში ბიბლიოთეკის საცავიდან, ეკლესიის სოციალური სწავლების ცენტრში გადავიტანეთ უცხოურენოვანი ფონდის ნაწილი. განთავსებულ იქნა თაროებზე, შესაბამისი კლასიფიკაციის მიხედვით.

ბიბლიოთეკაში დარჩენილი ლიტერატურა თავიდან იქნა გადაწყობილი, შესაბამისი კლასიფიკაციის მიხედვით. მიმდინარე ლიტერატურისთვის მოიძებნა განთავსების ადგილი.

2019-2020 წლის სასწავლო წლის პერიოდში, ბიბლიოთეკა აქტიურად იყო ჩართული პროგრამების რეაკრედიტაციის და აკრედიტაციის პროცესში. გადამოწმდა თითოეული პროგრამის ძირითადი ლიტერატურა. ფუნდი სრულად არის შევსებული ყველა საჭირო ლიტერტურით, როგორც ელექტრონული ასევე ბეჭდური სახით.

უცხო ენების ცენტრი

2018 წლის ოქტომბერში უნივერსიტეტის ბაზაზე ჩამოყალიბდა უცხო ენების ცენტრი.

უცხო ენების ცენტრმა განახორციელა შემდეგი ღონისძიებები:

- სრულიად განახლდა და შეიცვალა სასწავლო სილაბუსები A1 დან B2.2-ის ჩათვლით. B2.1-B2.2 ქართველი ინგლისური ენის სპეციალისტები ჩაანაცვლა ამერიკელმა და ინგლისელმა ენის სპეციალისტებმა.
- ყველა ინგლისური ენის ლექტორი ფლობს კემბრიჯის საერთაშორისო სერტიფიკატს **CELTA** (Certificate in English Language Teaching to Adults).
- მოხდა სილაბუსის „საქმიანი კომუნიკაციების“ Business Communications'' შემუშავება. შეიქმნა ფეისბუქ გვერდი Sabauni English Lab სადაც სტუდენტებს საშუალება აქვთ თვალი მიადევნონ სიახლეებს და გამოიყენონ სხვადასხვა რესურსები რომლებიც მათ დაეხმარებათ ცოდნის გაუმჯობესებაში.
- ლექტორებისათვის ჩატარდა ტრეინინგების ციკლი სწავლების თანამედროვე მეთოდებზე.
- საბაუნიში სტუმრად იმყოფებოდა “Georgia Today” რედაქტორი და ავტორი წიგნების სერიისა ვამპირული ომები- ქეით დეივისი.
- საბაუნიში Movie Time-ის ფარგლებში პერიოდულად ტარდება ფილმების ჩვენება ინგლისურ ენაზე. ფილმის ჩვენების შემდეგ მიმდინარეობს ფილმის განხილვა და დისკუსია.
- ჩატარდა ორი სტუდენტური საერთაშორისო კონფერენცია (თებერვალი-თბილისი, მაისი-ბაქო). თემაზე-Contemporary American literature
- საბაუნიში სტუმრად Ryan Hildebrant - მსოფლიო-მოგზაური, მეწარმე, TEDTalker. მან ისაუბრა: How to launch new creative side-projects (e.g. start an event, write a book, etc.)
- პერიოდულად ხდებოდა უცხო ენის ლექტორებთან შეხვედრა მიმდინარე სემესტრის განვლილი მიღწევების შესაფასებლად.
- ყოველკვირეული შეხვედრები სტუდენტებთან, პრესის განხილვა/ანალიზი.
- თანამშრომლებს ჩაუტარდათ ინგლისური ენის ცოდნის დონის განმსაზღვრელი ტესტი და შესაბამისად დაიგეგმ მათი ინგლისური ენის გაკვეთილები დონეების მიხედვით.

რეგულარულად ხორციელდებოდა სტუდენტებთან შეხვედრები მათი პრობლემების გაცნობის მიზნით. ტარდებოდა დონის განსაზღვრა/გასაუბრება გაცვლით პროგრამაში მონაწილე სტუდენტებისათვის. ასევე ხდებოდა გასაუბრება, საერთაშორისო სტუდენტებთან ურთიერთობა / ახალ სტუდენტებთან კავშირი / ინფორმაციის მიწოდება.

მაგისტრატურის სტუდენტებისათვის ხორციელდებოდა ინგლისური ენის კლუბი ამერიკელ პედაგოგთან ერთად. სტუდენტებს საშუალება ჰქონდათ გაეუმჯობესებინათ კომუნიკაციისათვის საჭირო უნარ-ჩვევები.

ინგლისური ენის ჯგუფის -“ English Corner”- შექმნის დაწყება. აღნიშნული ჯგუფი მოიცავს სხვადასხვა სახის აქტივობას, რაც სტუდენტებს მისცემს საშუალებას გაიუმჯობესონ ინგლისური ენა, დაძლიოთ ენასთან არსებული სირთულეები, ასევე განვიხილონ უახლეს ინფორმაციები მიმდინარე მოვლენებზე (პრესა) , “English Corner”-ში მიღებული გამოცდილება სტუდენტებს მისცემს საშუალებას, რომ ჰქონდეთ უფრო მეტი პრაქტიკა , რაც მომავალში აუცილებლად გამოგადგებათ.

ფინალური/შუალედური გამოცდების მიმოხილვა აკადემიური კალენდარის შესაბამისად.

საბაუნიში 31 იანვარს ჩატარდა თანამშრომელთა ენის დონის განმსაზღვრელი ტესტირება. ტესტირება მოიცავდა ევროპის საკვალიფიკაციო ჩარჩოთი (CEFR) გათვალისწინებულ ყველა კომპონენტს (საუბარი, წერა, მოსმენა, ენის გამოყენება და კითხვა) ტესტირების შემდეგ თანამშრომლებისათვის მოხდა შედეგების ინდივიდუალურად გაცნობა და ჯგუფებში გადანაწილება. თებერვლიდან ივნისის ჩათვლით მიმდინარეობდა მეცადინეობა კვირაში ორჯერ საათნახევარი. პანდემიით გამოწვეული გარემოებების გამო სწავლის პროცესი არ შეფერხებულა და სააუდიტორიო მეცადინეობიდან გაკვეთილებმა გადაინაცვლა ონლაინ სწავლების რეჟიმზე google meet- ის გამოყენებით. კურსის ბოლოს მოხდა ტესტის წერა რამაც განსაზღვრა მათი დონე. (შუალედური ტესტირება)

ხარისხის მართვის სამსახური

ხარისხის მართვის სამსახურის მიზანია სწავლების ხარისხის მაღალი დონის უზრუნველყოფა სწავლის, სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების დანერგვისა და საგანმანათლებლო პროდუქტების მუდმივი გაუმჯობესების გზით. აღნიშნული მიზნის მისაღწევად ხარისხის მართვის სამსახურის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფუნქცია საგანმანათლებლო პროგრამების გაფართოებისა და გაღრმავების ხელშეწყობა უნივერისტეტის სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან ერთად. ამ მიზნით, სამსახური გეგმავს და ახორციელებს უნივერსიტეტის მისიიდან გამომდინარე სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებების მიმართულებით მრავალფეროვან საგანმანათლებლო პროგრამებს. აღნიშნული მიმართულება ხარისხის მართვის სამსახურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი განხრაა და მოიცავს როგორც მიმდინარე საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების რეაკრედიტაციას, ისე ახალი პროგრამების შემუშავებას და აკრედიტაციას.

მიმდინარე პროგრამებიდან აღსანიშნავია, რომ 2020 წლის პირველ ორ კვარტალში სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის 2020-2026 წლების სტრატეგიის შესაბამისად (იხ. მიზანი 3; ამოცანა 3.1) განხორციელდა საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის რეაკრედიტაცია. აღსანიშნავია, რომ სამსახურის უშუალო ხელმძღვანელობით და ორგანიზებით მიმდინარეობდა აკრედიტაციის მთლიანი პროცესი, რაც გულისხმობს მოსამზადებელი სამუშაოების დაგეგმვა-განხორციელებას, სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულებთან სამუშაო შეხვედრების ორგანიზებას, პროგრამისა და სილაბუსების რევიზიას აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, თვითშეფასების ანგარიშისა და თანდართული დოკუმენტაციის მომზადებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტის ორგანიზებას, შესაბამისი ადმინისტრაციული წარმოების მართვას და აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე უნივერსიტეტის პოზიციის დაცვაში მონაწილეობას.

მიმდინარე პროგრამებიდან ხარისხის მართვის სამსახურმა გადახედა ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის და სილაბუსებს და მოიყვანა ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან შესაბამისობაში. ამ მიზნით, ხარისხის მართვის სამსახურმა ჩაატარა სამუშაო

შეხვედრა შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელთან და პროგრამაში ჩართულ ლექტორებთან, სადაც გაიცა კონკრეტული მითითებები.

სტრატეგიის მე-3 მიზნის შესამისადვე, ხარისხის მართვის სამსახურის ორგანიზებით და უშუალო ხელმძღვანელობით საანგარიშო პერიოდში უნივერსიტეტს დაემატა პოლიტიკის მეცნიერებების, სოციოლოგიის, ფსიქოლოგიის საბაკალავრო და საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამები. დასახელებული სამივე საბაკალავრო პროგრამა უკვე აკრედიტებულია, ხოლო სამაგისტრო პროგრამაზე ჯერ კიდევ მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება.
უნივერსიტეტის სტრატეგიის 3.2 ამოცანის შესაბამისად, დაიწყო თეოლოგიისა და სამართლის სადოქტორო პროგრამების შემუშავების პროცესი. ხარისხის მართვის სამსახურმა ამ ეტაპზე განახორიელა კურიკულუმის და შესაბამისი სილაბუსების რევიზია აკრედიტაციის სტანდარტების შესაბამისად.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საქმიანობის მეორე ნაწილი მოიცავს ავტორიზაციის ფარგლებში უნივერსიტეტის მომზადებას დადგენილი სტანდარტების შესაბამისად და საბოლოოდ, ავტორიზაციის მისაღებად შესაბამისი ადმინისტრაციული წარმოების განხორციელებას. საანგარიშო პერიოდში, ხარისხის მართვის სამსახურმა უზრუნველყო უნივერსიტეტის მომზადება ავტორიზაციის ყველა სტანდარტის შესაბამისად, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ანგარიშის და თანდართული დოკუმენტაციის მომზადება. უნივერსიტეტის ავტორიზაციის ახალ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით თავდაპირველად განხორციელდა სტანდარტების წარდგენა სტრუქტურული ერთეულებისთვის. ამის საფუძველზე შეფასდა დაწესებულებაში არსებული მდგომარეობა, რათა დაგეგმილიყო მოსამზადებელი სამუშაოები. ამისათვის, რექტორის 2019 წლის 27 დეკემბრის №178-19 ბრძანების საფუძველზე, შეიქმნა ავტორიზაციის თვითშეფასების ჯგუფი, სადაც თემატურად გადანაწილდა შესასრულებელი სამუშაო. მიმდინარე პროცესების ფარგლებში, ხარისხის მართვის სამსახურის კონსულტირებით და ავტორიზაციის სტანდარტებთან თავსებადობის შემოწმების მიზნით მუდმივად

მიმდინარეობდა შეხვედრები შესაბამის ჯგუფებთან, მომზადდა და გადაიხედა მთელი რიგი საჭირო დოკუმენტაცია. საბოლოოდ, აღნიშნული კომპლექსური სამუშაოს დასრულების შემდეგ, მას შემდეგ, რაც თვითშეფასების ჯგუფის მიერ დადებითად იქნა შეფასებული ავტორიზაციის სტატუსი მაძიებლის თვითშეფასების ფორმა, ეს უკანასკნელი თანდართული დოკუმენტაციით გაეგზავნა ხარისხის მართვის სამსახურის მიერ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს. სამსახური ეტაპობრივად უძღვება მიმდინარე წარმოებას და აგრძელებს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად დადგენილ პროცედურებს.

ხარისხის მართვის სამსახურის მიერ განხორციელებული სხვა ძირითადი აქტივობები გულისხმობს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამების, სასწავლო პროცესის, აკადემიური პერსონალის და სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმების შემუშავებას, დაინტერესებული პირების გამოკითხვას, სემესტრული გამოკითხვების შედეგების გაანალიზებას და ანგარიშის მომზადებას. 2020 წლის გაზაფხულის სემესტრში სამსახურმა უზრუნველყო კითხვარების დაგზავნა როგორც სტუდენტებთან, ისე აკადემიურ პერსონალთან, რათა გაანალიზდეს 2019-2020 წლის შემოდგომის სემესტრის შედეგები. აღნიშნული ინფორმაცია დამუშავების პროცესშია.

ხარისხის მართვის სამსახურის და სამართლის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელების უშუალო ჩართულობით გაეგზავნა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს ანგარიშები „სამართლის“ და „ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო პროგრამებზე.
საანგარიშო პერიოდში ხარისხის მართვის სამსახური აქტიურად იყო ჩართული უნივერსიტეტის ახალი სტრატეგიული გეგმის შემუშავების პროცესში. აქტიურად იღებდა მონაწილეობას სამუშაო შეხვედრებში და შესაბამისი დოკუმენტაციის შემუშავების პროცესში.
სამსახურის მიერ ორგანიზებულ იქნა სხვადასხვა სამუშაო შეხვედრა და ტრენინგი, ასევე აქტიურად იყო ჩართული სხვა სტრუქტურული ერთეულების მიერ ინიცირებულ შეხვედრებში. ხარისხის მართვის სამსახური საანგარიშო პერიოდში უზრუნველყოფდა

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს, შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრსა და განათლების მართვის საინფორმაციო სისტემასთან ოფიციალური მიმოწერის წარმოებას, შესაბამისი სამართლებრივი კორესპონდენციების გაგზავნას და მიღებულ წერილებზე სამართლებრივი რეაგირების განხორციელებას.

ხარისხის მართვის სამსახურმა დღემდე ორგანიზება გაუწია 4 აკადემიური საბჭოს ჩატარებას, სადაც წარადგენდა განსახილველ საკითხებს, ადგენდა ოქმებს და აწესრიგებდა ოქმებზე თანდართულ დოკუმენტაციას. სამსახურის ინიციატივით და შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებთან აქტიური კომუნიკაციით შემუშავდა 2020-2021 წლის მაგისტრატურის ანკეტა-კითხვარი, განისაზღვრა შესაბამის პროგრამებზე მისაღები კონტიგენტის ადგილების რაოდენობა და საბოლოოდ არსებული მონაცემები აისახა სპეციალურ ელექტრონულ პროგრამაში.

სტუდენტურ საქმეთა სამსახური

სულხან-საბა ორბელიანის სტუდენტურ საქმეთა სამსახურს აქვს ორი ძირითადი მიმართულება: სტუდენტების კარიერული ზრდა და განვითარება; სტუდენტური ღონისძიებები, რომელთა ფარგლებშიც სამსახური ახორციელებს არაერთ აქტივობას. აქტივობებში ჩართული არიან საბაუნის სტუდენტები.

- 2019 წლის ოქტომბრიდან დაიწყო ინფორმაციის რეგულარულად მიწოდება დასაქმების, სტაჟირებისა და სხვადასხვა პროექტის შესახებ.
- 2019 წლის 2 ოქტომბერს საბაუნიში მოეწყო კარფურის დასაქმების კუთხეები.
- 2019 წლის 15 ოქტომბრიდან 8 თებერვლის ჩათვლით მიმდინარეობდა საუნივერსიტეტო სტაჟირების პროგრამის მე-4 მიღება. პროგრამის ფარგლებში საბაუნის სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს აქვთ შესაძლებლობა ერთი სემესტრის განმავლობაში გაიარონ სტაჟირება უნივერსიტეტის სხვადასხვა სამსახურში.
- 2019 წლის 29 ოქტომბრიდან 13 ნოემბრის ჩათვლით მიმდინარეობდა საორიენტაციო/საინტეგრაციო ტრენინგები საბაუნის ახალწვეულებისთვის. შეხვედრების მიზანი იყო სტუდენტებისთვის ინფორმაციის მიწოდება სტუდენტურ საქმეთა სამსახურის, მისი მუშაობის, სამსახურის მიერ ორგანიზებული და შეთავაზებული ღონისძიებების, სტუდენტური სერვისების შესახებ. ასევე სტუდენტებს შორის გუნდური მუშაობის კულტურის დანერგვა, რაც დაეხმარებათ მათ მომავალში საერთო პროექტების ინიცირებასა და განხორციელებაში. (ინფორმაცია აქტივობის შესახებ იხილეთ ლინკზე: https://bit.ly/2tmyQw0)
- 2019 წლის 10 ოქტომბრიდან 15 ნოემბრის ჩათლით მიმდინარეობდა კარიერული განვითარების კურსის მე-3 ნაკადის გადამზადება. კურსის განმავლობაში სტუდენტებმა აითვისეს დასაქმებისთვის და კარიერული განვითარებისთვის საჭირო უნარ-ჩვევები, განივითარეს CV-სა და სამოტივაციო წერილის წერის უნარები. შეხვდნენ სხვადასხვა მსხვილი კომპანიის HR-ებს და გაიზიარეს მათი გამოცდილება და სასარგებლო რჩევები. (ინფორმაცია აქტივობის შესახებ იხილეთ ლინკზე: https://www.facebook.com/events/696148364219233/)
- 2019 წლის 23 სექტემბრიდან სემესტრის ბოლომდე მიმდინარეობს ინდივიდუალური კარიერული კონსულტაციები, რომელიც ითვალისწინებს საბაუნის სტუდენტებისთვის რეკომენდაციების, რჩევებისა და ინფორმაციის მიწოდებას, რომელსაც გამოიყენებენ ისინი დასაქმებისთვის, პიროვნული და კარიერული განვითარებისთვის. კონსულტაციები

ატარებს რეგულარულ ხასიათს და ნებისმიერ დაინტერესებულ სტუდენტს შეუძლია მიიღოს სასურველი ინფორმაცია კარიერულ და პიროვნულ განვითარებასთან დაკავშირებით.

- 2019 წლის 31 ოქტომბერს გაიმართა ჰელოუინის წვეულება, რომელიც გასართობ ხასიათს ატარებდა. თუმცა გარდა გართობისა, მას ჰქონდა სხვა დატვირთვაც. პროექტის სამიზნე აუდიტორია იყო საბაუნის სტუდენტობა. ამ ღონისძიების დაგეგმვა დაეხმარა მათ პიროვნული და გუნდური უნარ-ჩვევების გამოვლენაში, ასევე თავიანთი წვლილი შეიტანეს საბაუნის სტუდენტური ცხოვრების განვითარებასა და გააქტიურებაში. (ინფორმაცია აქტივობის შესახებ იხილეთ ლინკზე: https://www.facebook.com/events/398424894446196/)
- 2019 წლის 17 ნოემბერს სტუდენტურ საქმეთა სამსახურმა სტუდენტთა საერთაშორისო დღე მიულოცა საბაუნის სტუდენტებს მისალოცი პოსტერებით.
- 2019 წლის 27 ნოემბერს საბაუნის სტუდენტებისთვის მასტერ-კლასი ჩაატარა დავით კენჭაძემ თემაზე Yes, You Can! შეხვედრის ფარგლებში მან თავისი გამოცდილება გაუზიარა სტუდენტებს, როგორ უნდა მიაღწიონ წარმატებას ცხოვრების მანძლზე და როგორ უნდა იყვნენ წარმატებული თავიანთ კარიერაში. (ინფორმაცია აქტივობის შესახებ იხილეთ ლინკზე: https://www.facebook.com/events/1356114127883922/)
- 2019 წლის 28 ნოემბრიდან 1 დეკემბრის ჩათვლით მიმდინარეობდა წიგნის დღეები, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს საბაუნის პირველკურსელებმა. ღონისძიების ფარგლებში წარმოდგენილი იყო სხვადასხვა გამომცემლობის წიგნები. აქტივობაში მონაწილეობით სტუდენტებმა გაიუმჯობესეს კომუნიკაციის, ორგანიზებისა და დროის მართვის უნარები, რასაც წარმატებით გამოიყენებენ კარიერისა და პიროვნული განვითარების განმავლობაში. (ინფორმაცია აქტივობის შესახებ იხილეთ ლინკზე: https://www.facebook.com/events/427230144637325/)
- 2019 წლის 28 ნოემბერს დასაქმების კუთხეების პროექტის ფარგლებში ესტუმრა კომპანია GHS consulting, რომლის წარმომადგენლებმაც საბაუნის სტუდენტებს გააცნეს ინფორმაცია კომპანიაში მიმდინარე აქტიური ვაკანსიების, სტაჟირების პროგრამებისა და სერვისების შესახებ
- 2019 წლის 5 დეკემბერს საბაუნიში გაიმართა მოხალისეობის აღიარების ელექტრონული სისტემის პრეზენტაცია. ამ ელექტრონული სისტემის საშუალებით შესაძლებელია მოხალისეობრივად გაკეთებული საქმის სამუშაო გამოცდილებად აღრიცხვა, რაც აადვილებს შემდგომ დასაქმებას. შეხვედრის მიზანი იყო ახალგაზრდების დასაქმების ხელშეწყობა, მათი გააქტიურება და მოხალისეობრივად შეძენილი კომპეტენციების

გამოვლენა. (ინფორმაცია აქტივობის შესახებ იხილეთ ლინკზე: https://www.facebook.com/groups/sabauniofficial/permalink/2613916225359807/)

- 2019 წლის 9 დეკემბერს გაიმართა გიორგი კალატოზიშვილის საჯარო ლექცია თემაზე Don't Worry – Be Happy! შეხვედრაზე სტუდენტებმა გაიგეს, რა ფაქტორები ახდენს გავლენას დამსაქმებლის გადაწყვეტილებაზე და როგორ შეიძლება გავზარდოთ ჩვენი როლი ამ პროცესში. შეხვედრაზე განხილული იყო 3 ძირითადი საკითხი: თვითპრეზენტაცია - „გაყიდე საკუთარი თავი, სანამ გაყიდი დამსაქმებლის პროდუქტს და სერვისს. გასაუბრებაზე 3 ყველაზე ხშირად დაშვებული შეცდომა. ვერბალური და არავერბალური ენა - როგორ „გავწმინდოთ "კომუნიკაცია 3 ფილტრის დახმარებით. შეხვედრა ინტერაქციულ ხასიათს ატარებდა და სიმულაციის საშუალებით სტუდენტებმა უკეთესად გაიგეს, როგორ უნდა მოიქცნენ გასაუბრებაზე და რა ტექნიკები უნდა გამოიყენონ გამსაუბრებელთან კომუნიკაციისას. (ინფორმაცია აქტივობის შესახებ იხილეთ ლინკზე: https://www.facebook.com/groups/sabauniofficial/search/?query=don%27t%20worry%20be%20happy&epa=SEARCH_BOX)
- 2019 წლის 12 დეკემბერს საბაუნის სტუდენტებისთვის გაიმართა სამუშაო შეხვედრა თემაზე „მოხალისეობა და სამოქალაქო აქტივიზმი". მოდულის გავლის შედეგად არაფორმალური განათლების მეთოდოებისა და მიდგომების გზით, მონაწილეებმა გაიაზრეს მოხალისეობრივი საქმიანობის უპირატესობები, შეისწავლეს მოხალისისთვის საჭირო ლიდერობისა და გუნდური მუშაობის ზოგადი უნარები, გაიგეს სამოქალაქო აქტივიზმისა და მისი მნიშვნელობის შესახებ, ასევე მიიღეს ინფორმაცია რამდენად მნიშვნელოვანია მათი აქტიური სტუდენტური ცხოვრება სამოქალაქო საზოგადობის განვითარებისთვის. (ინფორმაცია აქტივობის შესახებ იხილეთ ლინკზე: https://www.facebook.com/groups/sabauniofficial/search/?query=%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%AE%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%94%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%90&epa=SEARCH_BOX)
- 2019 წლის 19 დეკემბერს საბაუნის ვერანდამ უმასპინძლა პროექტს საბART. პროექტი ინიცირებული იყო საბაუნის სტუდენტების მიერ, რომლის მთავარ მიზანს წარმოადგენდა საბაუნიში სტუდენტური ცხოვრების გააქტიურება და სტუდენტების ჩართვა ღონისძიებებში. პოეზიის საღამოს მოწვეული სტუმარი იყო ახალგაზრდა პოეტი გენრი დოლიძე, რომელთან ერთადაც საღამოში მონაწილეობდნენ საბაუნის სტუდენტები. პროექტის ფარგლებში გაიმართა საბაუნის სტუდენტის პერსონალური გამოფენაც, რომელსაც დიდი გამოხმაურება მოჰყვა. (ინფორმაცია აქტივობის შესახებ იხილეთ ლინკზე:

https://www.facebook.com/groups/sabauniofficial/search/?query=%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%91ART&epa=SEARCH_BOX)

- 24 დეკემბერს გაიმართა წლის შემაჯამებელი ღონისძიება, რომლის კოორდინირება სტუდენტურ საქმეთა სამსახურმა და ფაკულტეტებმა მოახდინეს. წლის შემაჯამებელ შეხვედრაზე გაიმართა სტუდენტთა დაჯილდოება სხვადასხვა აქტივობაში მონაწილეობისთვის, ასევე დაჯილდოვდნენ წარმატებული სტიპენდიანტები, შეხვედრაზე მოწვეული იყვნენ სპეციალური სტუმრები, რომელთაც თავიანთი გამოცდილება კიდევ ერთხელ გაუზიარეს სტუდენტებს. შეხვედრაზე საფუძველი ჩაეყარა კურსდამთავრებულთა ქსელის შექმნას, რომელიც ითვალისწინებს ორმხრივ თანამშორმლობას უნივერსიტეტსა და კურსდამთავრებულებს შორის, კურსდამთავრებულთა ინიციატივების მხარდაჭერას, საერთო ინიციატივების განხორციელებას, უნივერსიტეტის მხრიდან გარკვეული ტრენინგებისა და მსგავსი აქტივობების შეთავაზებას. (ინფორმაცია აქტივობის შესახებ იხილეთ ლინკზე: https://www.facebook.com/events/1237546219776979/)
- 2020 წლის 9 იანვარს, საბაუნის სტუდენტურ საქმეთა სამსახურის ინიციტივით, გაიმართა საახალწლო გასართობი ღონისძიება, რომელშიც მონაწილეობდნენ საბაუნის სტუდენტები. საღამოზე მოწვეული იყო ახალგაზრდული მუსიკალური ბენდი, რომელთანაც ერთად სტუდენტებმა შეასრულეს მათთვის ნაცნობი სიმღერები. ღონისძიებაზე ჩატარდა გასართობ-შემეცნებითი ვიქტორინა, რომლის გამარჯვებულებსაც გადაეცათ სიმბოლური საჩუქრები. (ინფორმაცია აქტივობის შესახებ იხილეთ ბმულზე: (https://bit.ly/3iob1bH)

- 2020 წლის 15-25 იანვარს, სტუდენტურ საქმეთა სამსახურმა ჩაატარა კვლევა, რომლის მიზანიც იყო საბაუნის სტუდენტთა საჭიროებების გამორკვევა. კვლევის შედეგების გათვალისწინებით დაიგეგმა სემესტრის მანძილზე ჩასატარებელი აქტივობები, რომელთა შემუშავებაშიც ასევე ჩართულნი იყვნენ საბაუნის სტუდენტები.

- 2020 წლის 1-10 თებერვალს სტუდენტურ საქმეთა სამსახურის წარმომადგენელმა შეხვედრები გამართა სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციასთან, მათ შორისაა ორგანიზაცია “სექტორი 3” და “სამოქალაქო დარბაზი”, რომლებთან ურთიერთობის ფარგლებშიც საბაუნის სტუდენტები ჩაერთვებიან სხვადასხვა აქტივობაში, ტრენინგებსა თუ გასართობ ღონისძიებაში. ასევე მათსაშუალება ექნებათ დასაქმდნენ ამ ორგანიზაციებში.

- 2020 წლის 7 თებერვლიდან საბაუნის სტუდენტურ საქმეთა სამსახურმა და არაფორმალური განათლების ცენტრმა თავიანთი თანამშრომლობის ფარგლებში დაიწყეს დებატების სკოლის პროექტის განხორციელება. პროექტის ფარგლებში საბაუნიმ უმასპინძლა სკოლის მოსწავლეებს, რომელთაც აითვისეს და განავითარეს საგანმანათლებლო უნარები. პროექტის შედეგად მოსწავლეებმა განივითარეს ლოგიკური მსჯელობის, კრიტიკული და ანალიტიკური აზროვნების, საჯარო მეტყველების, დროის მართვის, გუნდურობის, თვითდაჯერებულობის უნარები, რაც მნიშვნელოვანია ადამიანის პიროვნული და კარიერული განვითარებისთვის. (ინფორმაცია პროექტის შესახებ იხილეთ ბმულზე : https://www.facebook.com/Sulkhansabauniversity/photos/a.325379070826569/2980452538652529/)

- 2020 წლის 10-20 თებერვალს სტუდენტურ საქმეთა სამსახურმა დაიწყო პროექტზე მუშაობა საბაუნის სტუდენტებისა და ლექტორების გუნდთან ერთად. პროექტის მიზანია, იმიტირებული სასამართლო პროცესებისთვის პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავება. პროექტი უნდა განხორციელებულიყო მარტის თვეში, თუმცა პანდემიის დროს გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობის გამო, განხორციელება დროებით გადაიდო და სწავლის პროცესის განახლების პარალელურად დაიგეგმება მისი განხორციელება.

- 2020 წლის 15-26 თებერვალს, სტუდენტურ საქმეთა სამსახურის ინიციატივით, სამსახურმა შესაბამის ორგანიზაციასთან თანამშრომლობით, დაიწყო დამამთავრებელი კურსის სტუდენტებისთვის 4 თვიან პროგრამაზე მუშაობა. პროგრამის მიხედვით სტუდენტები შეიძენენ უნივერსიტეტის შემდგ დასაქმებისთვის აუცილებელ უნარ-ჩვევებს და კომპეტენციებს, რის საფუძველზეც გაუადვილდებათ სასურველ ადგილზე სასურველ კომპანიაში დასაქმება. საგანგებო მდგომარეობისა და შეზღუდული ფინანსების გამო ვერ მოხერხდა პროგრამის დანერგვა, თუმცა სწავლის პროცესის განახლების პარალელურად, იგეგმება პროგრამის გაშვება.

- 2020 წლის 28 თებერვალს საქართველოს საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაციასთან თანამშრომლობის ფარგლებში, ზამთრის საუნივერსიტეტო უნივერსიადაში მონაწილეობდნენ საბაუნის სტუდენტები, რომლებმაც წარმატებით იასპარეზეს სპორტის

სხვადასხვა სახეობაში. (ინფორმაცია აქტივობის შესახებ იხილეთ გმულზე: https://www.facebook.com/Sulkhansabauniversity/photos/pcb.3027188230645626/3027186170645832)

- 2020 წლის 3 მარტს საბაუნის სტუდენტურ საქმეთა სამსახურის ინიციატივით, საბაუნიმ უმასპინძლა სამცხე-ჯავახეთის კათოლიკური საკრებულოების ახალგაზრდებს. ღია კარის დღეების ფარგლებში მათ დაათვალიერეს საბაუნის შენობა, შეხვდნენ უნივერსიტეტის რექტორს, პრორექტორსა და სტუდენტებს, რომელთაც გაუზიარეს სასარგებლო ინფორმაცია და სტუდენტური გამოცდილება სტუმრად მყოფ ახალგაზრდებს, ისაუბრეს თანამედროვე გამოწვევებზე, შესაძლებლობებსა და უნივერსიტეტის უპირატესობებზე. (ინფორმაცია აქტივობის შესახებ იხილეთ გმულზე: https://www.facebook.com/Sulkhansabauniversity/photos/a.325379070826569/3036447396386376/)

- 2020 წლის 4 მარტს საბაუნის სტუდენტურ საქმეთა სამსახურის ინიციატივით გამოცხადდა მიღება საუნივერსიტეტო სტაჟირების პროგრამაზე, თუმცა პანდემიისა და შეწყვეტილი სასწავლო პროცესის გამო, აღნიშნული ღონისძიება ვერ განხორციელდა. პროგრამის განხორციელება იგეგმება მომავალში, სწავლის პროცესის აღდგენის პარალელურად. (ინფორმაცია იხილეთ გმულზე: https://www.facebook.com/Sulkhansabauniversity/photos/a.325379070826569/3038732726157843/)

- 2020 წლის 8 მარტს სტუდენტურ საქმეთა სამსახურის ინიციატივით, საბაუნის სტუდენტებმა, ქალთა საერთაშორისო დღე მიულოცეს საზოგადოებას სპეციალურად ამ დღისთვის გადაღებული ვიდეო-კლიპის საშუალებით. (ინფორმაცია იხილეთ გმულზე: https://www.facebook.com/Sulkhansabauniversity/videos/204961147579589)

- 2020 წლის 10 მარტს სტუდენტურ საქმეთა სამსახურმა გამოაცხადა საპროექტო იდეების მიღება საგრანტო პროგრამის "ერთი იდეა მაქვს" ფარგლებში. პროგრამა ითვალისწინებს საბაუნის სტუდენტების იდეებისა და ინიციატივების მხარდაჭერას და მათ განვითარებას. აღნიშნული პროგრამა ვერ განხორციელდა პანდემიისა და შემდგომში გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობის გამო. თუმცა სასწავლო პროცესის აღდგენის პარალელურად იგეგმება პროგრამის განახლება. პროგრამის ფარგლებში უკვე განხორციელებულია გარკვეული

რაოდენობის აქტივობა. (ინფორმაცია იხილეთ გმულზე: https://www.facebook.com/Sulkhansabauniversity/photos/a.325379070826569/3051871061510676/)

- 2020 წლის 13 მარტს სტუდენტურ საქმეთა სამსახური გეგმავდა ყოველწლიური HR ფორუმის ჩატარებას საბაუნის სტუდენტებისთვის, რომელზეც მოწვეულნი იქნებოდნენ სხვადასხვა წამყვანი კომპანიის hr-ები, რომლებიც წარმოადგენდნენ აქტიურ ვაკანსიებს და საშუალებას მისცემდნენ საბაუნის სტუდენტებს გამოეყენებინათ ეს შესაძლებლობა დასაქმებისთვის. საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებისა და სასწავლო პროცესის შეჩერების გამო აღნიშნული ღონისძიება ვერ განხორციელდა და გადავიდა მომდევნო წლის გაზაფხულის სემესტრში.

- 2020 წლის 16 მარტიდან სტუდენტურ საქმეთა სამსახური ჩართული იყო სტუდენტების მხარდამჭერი ღონისძიებების შემუშავების პროცესში. სტუდენტებთან ინტენსიური ურთიერთობისა და გამოკითხვების საფუძველზე უნივერსიტეტმა განსაზღვრა საჭიროებები, რომელთა დაკმაყოფილება აუცილებელი გახდა საგანგებო მდგომარეობის პირობებში. ინფორმაცია შეღავათებისა და მხარდამჭერი ღონისძიებების შესახებ იხილეთ გმულებზე:

- https://www.facebook.com/Sulkhansabauniversity/photos/a.325379070826569/3072722766092172/
- https://www.facebook.com/Sulkhansabauniversity/photos/a.325379070826569/3082750841756031/
- https://www.facebook.com/Sulkhansabauniversity/photos/a.325379070826569/3099623893402059/

- 2020 წლის 18 მარტს სტუდენტურ საქმეთა სამსახურის ინიციატივით დაიგეგმა ახალგაზრდა მწერლების, ნანი მანველიშვილისა და გვანცა გუბელაძის წიგნების პრეზენტაციის ღონისძიება, რომლის მიზანი იყო ახალგაზრდა მწერლების პოპულარიზაცია სტუდენტებში და მათი წახალისება. საგანგებო მდგომარეობის გამო აღნიშნული ღონისძიება გადაიდო და სწავლის პროცესის განახლების პარალელურად გაიმართება შემოდგომის სემესტრში.

- 2020 წლის 20 მარტიდან დღემდე, კვირაში ორჯერ, საბაუნის სტუდენტურ საქმეთა სამსახურმა დაიწყო ონლაინ შეხვედრები სხვადასხვა სამრევლოს ახალგაზრდებთან. შეხვედრების მიზანს მათთვის საბაუნის, საბაუნის საგანმანათლებლო პროგრამებისა და სტუდენტური ცხოვრების შესახებ ინფორმაციის მიწოდება წარმოადგენდა.

- 2020 წლის 22 მარტს სტუდენტურ საქმეთა სამსახურს დაგეგმილი ჰქონდა სტუდენტური გასართობ შემეცნებითი პიკნიკი, თუმცა აღნიშნული აქტივობის განხორციელება ვერ მოხერხდა საგანგებო მდგომარეობის შემოღების გამო. მსგავსი აქტივობა კვლავ იგეგმება და სწავლის პროცესის განახლების პარალელურად განხორციელდება შემოდგომისა და გაზაფხულის სემესტრში.

- 2020 წლის 25 მარტს სტუდენტურ საქმეთა სამსახურის ინიციატივით იგეგმებოდა კურსდამთავრებულთა კლუბის გახნის ცერემონიის აღნიშვნა, თუმცა საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების გამო აღნიშნული აქტივობა ვერ განხორციელდა და გადავიდა შემოდგომის სემესტრში.

- 2020 წლის 3 აპრილიდან საბაუნის სტუდენტურ საქმეთა სამსახურმა დაიწყო პროექტი "წარმატების ფორმულა". პროექტის ფარგლებში, საბაუნის სტუდენტებმა, მათ შორის გაცვლითი პროგრამით საზღვარგარეთ მყოფმა სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა თავიანთი წარმატების ფორმულა და გამოცდილება გაუზიარეს თანატოლებს. პროექტის ფარგლებში იწერებოდა ვიდეო-მიმართვები, რომლებიც განთავსებულია საბაუნის ოფიციალურ ფეისბუქ გვერდზე. (მაგალითისთვის იხილეთ ბმული: https://www.facebook.com/Sulkhansabauniversity/videos/2568759389895629)

- 2020 წლის 3 აპრილიდან სტუდენტურ საქმეთა სამსახურის ორგანიზებით დაიწყო ონლაინ კამპანია #StopCovid1n9 საზღვარგარეთ მყოფი ქართველი და უცხოელი სტუდენტების მხარდასაჭერად. კამპანიის ფარგლებში სტუდენტებს ჰქონდათ შესაძლებლობა თავიანთი ფოტოთი მხარდაჭერა გამოეხატათ თანატოლების მიმართ. (ინფორმაციისთვის იხილეთ ბმული: https://bit.ly/3dPUgmc)

- 2020 წლის 8 აპრილს სტუდენტურ საქმეთა სამსახურმა დისტანციური შეხვედრა გამართა საბაუნის სტუდენტებთან. შეხვედრაზე სტუდენტებს ინფორმაცია მიეწოდათ სტუდენტურ საქმეთა სამსახურის დისტანციურ სერვისებზე, დაგეგმილ და მიმდინარე ღონისძიებებზე, საგრანტო კონკურსებზე. ასევე სტუდენტებმა მიიღეს რჩევები,როგორ შეიძლება დაეგეგმათ თავიანთი თავისუფალი დრო პანდემიის პერიოდში. (ინფორმაცია იხილეთ ბმულზე : https://www.facebook.com/events/917110588719679/)

- 2020 წლის 10 აპრილს სტუდენტურ საქმეთა სამსახურს დაგეგმილი ჰქონდა სპორტის საერთაშორისო დღის აღნიშვნა, თუმცა საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებია და სასწავლო პროცესის შეჩერების გამო, ვერ განხორციელდა ეს აქტივობა. საბაუნის სტუდენტურ საქმეთა სამსახური მომდევნო წლის 10 აპრილს განახორციელებს ამ დღის აღნიშვნას

- 2020 წლის 10-29 აპრილს, საბაუნის სტუდენტურ საქმეთა სამსახურმა დაიწყო ონლაინ შეხვედრები კვრიაში ორჯერ, ახალციხის რეგიონში მცხოვრებ აბიტურიენტებთან. შეხვედრების ფარგლებში მათ ინფორმაცია მიიღეს საბაუნის საგანმანათლებლო პროგრამების, საბაუნის შეღავათებისა და საბაუნის სტუდენტური ცხოვრების შესახებ.

- 2020 წლის 21 აპრილიდან დღემდე, კვირაში ორჯერ, სტუდენტურ საქმეთა სამსახური მეილის საშუალებითსტუდენტებს აწვდიდა სასარგებლო ინფორმაციას არა მხოლოდ აქტიური ვაკანსიების, არამედ ონლაინ ტრენინგების, სხვადასხვა თემატიკის კურსების, ცნობილი ადგილების ონლაინ ტურების, სხვადასხვა სასარგებლო პლატფორმების შესახებ, რომლებითაც მათშეეძლოთ სახლიდან გაუსვლელად მიეღოთ განათლება სხვადასხვა სფეროში, ასევე იღებდნენ ინფორმაციას ელექტრონული წიგნებისა და საინტერესო ბლოგების ვებ-გვერდების შესახებ, ხელოვნების სხვადასხვა მიმართულებების ონლაინ ტრენინგების, თვითგანვითარებისთვის საჭირო სხვა პლატფორმების შესახებ და სხვ.

- 2020 წლის 28 აპრილს სტუდენტურ საქმეთა სამსახურისა და პროფესიული განვითარების ცენტრის ორგანიზებით დაიწყო ონლაინ ტრენინგების ციკლი, რომლის ფარგლებშიც სტუდენტებისთვის შეთავაზებულიქნა სამი საინტერესო თემა: ეფექტური კომუნიკაცია, ემოციური ინტელექტი და თვითგანვითარების პლატფორმები. ტრენინგების ციკლს ესწრებოდნენ როგორც საბაუნის, ისე სხვა უნივერსიტეტის

სტუდენტებიც. ტრენინგების დასრულების შემდეგ გაიცა ონლაინ სერტიფიკატები. (ინფორმაცია იხილეთ გმულზე: https://www.facebook.com/events/659000554665963/)

- 2020 წლის 1-10 მაისს სტუდენტურ საქმეთა სამსახურმა დაიწყო ინდივიდუალური კარიერული კონცულტაციები, რომლის ფარგლებშიც სტუდენტებს საშუალება ჰქონდათ მიეღოთ მათთვის სასურველი ინფორმაცია დასაქმებასთან და დასაქმებისთვის აუცილებელი უნარ-ჩვევების შესახებ.

- 2020 წლის 5 მაისიდან 28 ივნისის ჩათვლით, სტუდენტურ საქმეთა სამსახური ატარებდა ონლაინ შეხვედრებს აბიტურიენტებთან, მასწავლებლებთან და სასულიერო პირებთან, შეხვედრების მიზანი საბაუნის საგანმანათლებლო პროგრამებისა და სტუდენტური ცხოვრების პოპულარიზაცია და გაცნობა იყო.

- 2020 წლის 6 მაისიდან სტუდენტურ საქმეთა სამსახური გეგმავდა ფილმების ჩვენებების დაწყებას საბაუნის ვერანდაზე, თუმცა საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებისა და სასწავლო პროცესის შეჩერების გამო, აღნიშნული აქტივობა ვერ განხორციელდა. ფილმის ჩვენებების განახლება იგეგმება მომავალ სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში.

- 2020 წლის 10 მაისიდან სტუდენტურ საქმეთა სამსახურმა მუშაობა დაიწყო კარიერულ გზამკვლევზე, რომელიც განთავსდება საბაუნის ოფიციალურ საიტზე და ხელმისაწვდომი იქნება ყველა დაინტერესებული პირისთვის. კარიერული გზამკვლევი მოიცავს ინფორმაციას ყველა იმ აუცილებელი დეტალის შესახებ, რომელიც სჭირდებათ აბიტურიენტებს დასაქმებისთვის.

- 2020 წლის 15 მაისიდან დღემდე საბაუნის სტუდენტურ საქმეთა სამსახური ჩაერთულია პროექტის “აბიტურიენტი 2020” დაგეგმვის პროცესში. პროექტის ფარგლებში შემუშავებული იქნა შეღავათები აბიტურიენტებისთვის და პიარ-გეგმა, რომლის მიხედვითაც საბაუნი მოქმედებს შემოდგომის სემესტრის დაწყებამდე.

- 2020 წლის 20 მაისს სტუდენტურ საქმეთა სამსახური გეგმავდა კულინარიული დუელის განხორციელებას, თუმცა საგანგებო მსგომარეობის გამოცხადებისა და სასწავლო პროცესის შეჩერების გამო, აღნიშნული აქტივობა გადაიდო მომდევნო

გაზაფხულის სემესტრამდე. აქტივობის მიზანი იყო საბაუნის ქართველი და უცხოელი სტუდენტების დახლოება, მათ შორის მეგობრული გარემოს ჩამოყალიბება და ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების შესახებ ინფორმაციის გაზიარება.

- 2020 წლის 1 ივნისს სტუდენტურ საქმეთა სამსახურის ინიციატივით იგეგმებოდა ბავშვთა საერთაშორისო დღის აღნიშვნა, რომლის ფარგლებშიც საბაუნის თანამშრომლებსა და სტუდენტებს შეეძლოთ თავიანთი შვილების მოყვანა საბაუნიში სპეციალურად მათთვის წარმოდგენილ გასართობ ღამოზე. აღნიშნული ღონისძიება ვერ განხორციელდა საგანგებო მდგომარეობისა და სასწავლო პროცესის შეჩერების გამო და გადავიდა მომდევნო წლის 1 ივნისამდე.

- 2020 წლის 10 ივნისს სტუდენტურ საქმეთა სამსახურის ინიციატივით, თავისი სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში იგეგმებოდა საქველმოქმედო ღონისძიება ხანდაზმულთათვის, რომლებიც ცხოვრობენ მათთვის გამოყოფილ სპეციალურ თავშესაფარში. აღნიშნული აქტივობა ვერ განხორციელდა საგანგებო მდგომარეობისა და სასწავლო პროცესის შეჩერების გამო და გადავიდა მომდევნო წლის გაზაფხულის სემესტრში.

- 2020 წლის 16 ივნისს, საბაუნის სტუდენტურ საქმეთა სამსახურის მონაწილეობით ჩატარდა საქველმოქმედო ხასიათის აქტივობა, რომლის ფარგლებშიც საბაუნის სტუდენტებმა დაასუფთავეს მიხეილთამარაშვილის საფლავი დიდუბის პანთეონში.

- 2020 წლის 24 ივნისს სტუდენტურ საქმეთა სამსახურის ინიციტივით დაიწყო სტუდენტების ვიდეოების ჩაწერა, რომლებიც თავიანთ გამოცდილებას გაუზიარებენ თანატოლებს სტუდენტური ცხოვრების შესახებ. (ინფორმაცია იხილეთ ბმულზე: https://www.facebook.com/Sulkhansabauniversity/videos/2310513862590256)

- 2020 წლის ივლისში სტუდენტურ საქმეთა სამსახურისა და საქართველოს კათოლიკე ახალგაზრდების ცენტრის თანამშრომლობის ფარგლებში, საბაუნის სტუდენტები მონაწილეობას მიიღებენ გორის ახალგაზრდულ ბანაკში. ბანაკები მოეწყობა სხვადასხვა რაიონში და მათში პერიოდულად ჩაერთვებიან საბაუნის სტუდენტები.

- 2020 წლის 25 ივლისს სტუდენტურ საქმეთა სამსახურის ინიციატივით და გეგმილია საბაუნის და მამთავრებელი კურსის სტუდენტების გაცილების ცერემონია.

ადამიანური რესურსების მართვის სამსახური

2019-2020 წლის განმავლობაში უნივერსიტეტის ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის საქმიანობა მოიცავდა, ერთის მხრივ უნივერსიტეტის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის და პროცედურების შემუშავებას, მეორეს მხრივ უნივერსიტეტის ავტორიზაციისათვის მოსამზადებელ პროცესს.

თითოეული მიმართულებისათვის შედგენილი იყო სამოქმედო გეგმა შესაბამისი შეფასების ინდიკატორებით.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში იხილეთ სამოქმედო გეგმა, შესაბამისი შედეგებით.

საქმიანობის/პროექტის აღწერა	შესრულების ვადები	მიღებული შედეგი
ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის/მიდგომების შემუშავება	სექტემბერი 2019	პერსონალის მართვის პოლიტიკის არსებობა
თანამდებობრივი ინსტრუქციების და სპეციფიკაციების განახლება	ივლისი 2019	განახლებული თანამდებობრივი ინსტრუქციები და სპეციფიკაციები
თანამშრომელთა კმაყოფილების კვლევა	თებერვალი 2019	თანამშრომელთა კმაყოფილების კვლევის შედეგები
სტრუქტურული ერთეულების დებულებების შექმნა/განახლება	ივლისი 2019	განახლებული სტრუქტურული ერთეულების დებულებები
ადმინისტრაციული პერსონალის შერჩევა-დაქირავების რეგულირება	სექტემბერი 2019	ადამინისტრაციული და დამხმარე პერსონალის შერჩევა-დაქირავების წესი
უნივერსიტეტის შრომის შინაგანაწესის განახლება	აპრილი 2020	შინაგანაწესის პროექტის არსებობა
ადამიანური რესურსების მართვის ელექტორნული სისტემის შექმნა/დანერგვა	ივლისი 2019	ადამიანური რესურსების მართვის ელექტრონული სისტემის არსებობა, თანამშრომლებისთვის შესაბამისი მომხმარებლების გახსნა და ტრენინგების ჩატარება.

ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის სამუშაოს შეფასების სისტემის დანერგვა	აპრილი 2020	შემუშავდა ადამინისტრაციული და დამხმარე პერსონალის სამუშაოს შეფასების დებულება, შეიქმნა დებულების თანახმად ინდივიდუალური გეგმები და შეფასების პროცესი ამუშავდა
თანამშრომელთა ეთიკისა და ქცევის კოდექსის შემუშავება	აპრილი 2020	თანამშრომელთა ეთიკისა და ქცევის კოდექსის პროექტის არსებობა, იურიდიულ სამსახურთან ერთად
პროფესიული განვითარების ცენტრის ფარგლებში ტრენინგების ჩატარება პერსონალისთვის	მიმდინარე	2019 წლის განმავლობაში პერსონალს ჩაუტარდათ ტრენინგები, როგორც შიდა პროცედურების თაობაზე, ასევე სხვადასხვა აქტუალურ საკითხებზე.
თანამშრომელთა სამოტივაციო გასართობი ღონისძიებების ორგანიზება	მიმდინარე	წლის განმავლობაში ჩატარდა რამდენიმე, ექსკურსია თუ შიდა ღონისძიება თანამშრომელთა ჩართულობის და მოტივაციის ასამაღლებლად
უნივერსიტეტის სტრუქტურის განახლება	ივლისი 2019	უნივერსიტეტის ახალი სტრატეგიული გეგმის თანახმად განახლდა და დამტკიცდა უნივერსიტეტის ახალი სტრუქტურა
ადმინისტრაციული, დამხმარე, აკადემიური და მოწვეული პერსონალის შრომითი ხელშეკრულების ნიმუშების განახლება	სექტემბერი 2019	იურიდიული სამსახურის მხარდაჭერით განახლდა პერსონალის შრომითი ხელშეკრულების ნიმუშები.
ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის ადაპტაციის წესი	სექტემბერი 2019	შემუშავებული და პრაქტიკაში განხორციელებული ადაპტაციის წესი

საანგარიშო წლის განმავლობაში განხორციელებული საქმიანობა- შეჯამება

2019-2020 წლის განმავლობაში, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის მიერ განხორციელდა რამდენიმე მნიშვნელოვანი პროექტი.

პირველ რიგში, აღსანიშნავია ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის შექმნა, პოლიტიკის დოკუმენტი აერთიანებს როგორც ზოგად ასევე კონკრეტულ მიდგომებს, რომლებიც გააჩნია უნივერსიტეტს პერსონალის მართვის საკითხებში.

ასევე მნიშვნელოვანია, ადმინისტაციული და დამხმარე პერსონალის სამუშაოს შეფასების წესი. უნივერსიტეტში 2019 წელს პირველად დაიგეგმა ამ ფორმით პერსონალის შეფასება. პროცესი გულისხმობს თანამშრომლების მიერ ინდივიდუალური გეგმების შედგენას და მათი შესრულების მიხედვით პერსონალის შეფასებას. 2019 წლის დეკემბერში პერსონალს ჩაუტარდა ტრენინგები შეფასების პროცესის გახორციელებასთან დკავშირებით და შედგენილ იქნა ინდივიდუალური გეგმები თითოეული თანამშრომლისათვის. შუალედური შედეგები პერსონალის შეფასებასთან დაკაშირებით იქნება 2020 წლის თებერვალში. რაც საშუალებას მოგვცემს შევაფასოთ პროგრესი, რომელიც მიმდინარეობს სამუშაოს შესრულების და ასევე თანამშრომლების მიერ შეფასების პროცესის აღქმის მხრივ. რაც რათქმაუნდ საკმაოდ რთულია, გამომდინარე იქიდან, რომ პირველი წელია რაც ამ ფორმით ხდება პერსონალის შეფასება.

ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის მიერ ასევე განხორციელდა ადამინისტრაციული და დამხმარე პერსონალის შერჩევა-დაქირავების წესის შემუშავება. წესის მიხედვით განისაზღვრა, რა ფორმით და როგორ მოხდება პერსონალის შერჩევა-დაქირავება უნივერსიტეტში და ასევე მათი ადაპტაციის წესი. უშუალოდ განხორციელდა ახალი თანამშრომლების ადაპტაციია, რომელიც ამჟამადაც მიმდინარე პროცესშია.

უნივერსიტეტის სტარტეგიული გეგმის თანახმად განხორციელდა უნივერსიტეტის სტრუქტურის განახლება, შესაბამისად შეიცვალა სტრუქტურული ერთეულების დასახელებები, მათი საქმიანობა, თანამშრომლების ფუნქციები და ა.შ. სამუშაო ანალიზის საფუძველზე განხორციელდა პერსონალის თანამდებობრივი ინსტრუქციების და სპეციფიკაციების განახლება, სტრუქტურული ერთეულების დებულებების შედგენა/განახლება და შესაბამისად უნივერსიტეტის ახალი სტრუქტურის დამტკიცება.

მიმდინარე პროექტები: უნივერსიტეტის შრომის შინაგანაწესის განახლება ახალი პერსონალის პოლიტიკის და შრომით კანონმდებლობაში დაგეგმილი ცვლილებების თანახმად და უნივერსიტეტის პერსონალის ეთიკისა და ქცევის კოდექსის შედგენა.

ორივე დოკუმენტის პროექტი შედგენილია და ამჟამად მიმდინარეობს მათი განხილვის პროცესი.

უნივერსიტეტის არმ სამსახურის მიზანია, მაქსიმალურად ოპერატიული და მარტივი გახადოს თანამშრომლებისათვის პერსონალის მართვის პროცესები და სერვისები. რაც გამოიხატება ძირითადი პროცესების ოპტიმიზაციასა და ელექტრონულად განხორციელებაში. ამ მიზნით

განხორციელდა არმ ელექტორნული პროგამის დანერგვა უნივერსიტეტში. სისტემა მოიცავს პერსონალის ინფორმაციას, მის ანალიზს და ასევე სხვადასხვა შრომითი ურთიერთობის შეჩერების ელექტორნულ ვიზირებას და რეგისტრაციას.

არმ სამსხური ასევე მუშაობს სამომავლოდ სერვისების ოპტიმიზაციასა და ელექტრონულად გადატანაზე.

სამსახურის კოორდინაციაში არსებულ პროფესიული განვითარების ცენტრის ფარგლებში უნივერსიტეტის პერსონალს 2019 წლის განმავლობაში ჩაუტარდა მნიშვნელოვანი ტრენინგები, რომლებიც მიმართული იყო მათი ცოდნისა და უნარების განვითარებაზე, ახალი უნარების გამომუშავებაზე და ასევე უნივერსიტეტის შიდა პროცედურების გაცნობაზე.

ტრენინგების ჯამში ამ ეტაპზე ჩაუტარდა 150-მდე თანამშრომელს.

ძირითადი ტრენინგები:

- სილბუსის წერის ხელოვნება და სწავლების თანამედროვე მეთოდები;
- სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება;
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
- ციტირების ტექნიკა და სტანდარტი;
- აკადემიური პრეზენტაცია;
- უნივერსიტეტის მონაცემთა დაცვის პოლიტიკა;
- სტიპენდიების გაცემის წესი;
- პროექტების მართვის მოკლე კურსი; (საგრანტო განაცხადის შედგენა, რუსთაველის სამეცნიერო ფონდის საგრანტო პროექტების მაგალითზე)

უნივერსიტეტის სტარტეგიული გეგმის თანახმად განხორციელდა უნივერსიტეტის სტრუქტურის განახლება, შესაბამისად შეიცვალა სტრუქტურული ერთეულების დასახელებები, მათი საქმიანობა, თანამშრომლების ფუნქციები და ა.შ. სამუშაო ანალიზის საფუძველზე განხორციელდა პერსონალის თანამდებობრივი ინსტრუქციების და სპეციფიკაციების განახლება, სტრუქტურული ერთეულების დებულებების შედგენა/განახლება და შესაბამისად უნივერსიტეტის ახალი სტრუქტურის დამტკიცება.
განახლდა უნივერსიტეტის შრომის შინაგანაწესისი და შემუშავდა ეთიკისა და ქცევის კოდექსი პერსონალისთვის, საქართველოს შრომის კანონმდებლობის მოთხოვნების თანახმად.

2020 წლის დასაწყისში სამსახურის მიერ ჩატარდა ტრენინგების საჭიროების ანალიზი და გამოიკითხა პერსონალი პროფესიული განვითარების მიმართულებით მათი საჭიროებების თაობაზე. აღნიშნული ინფორმაციის საფუძველზე შედგა ტრენინგების გეგმა პერსონალისთვის თუმცა, ქვეყანაში პანდემიის გავრცელების გამ გარვეული ტრენინგების განხორციელება ვერ მოხერხდა. ისინი განხორციელდება 2020 წლის შემოდგომის სემესტრის განმავლობაში.

პერსონალის 2019 სტატისტიკური მონაცემები:



	პროფესორი	ასოცირებული პროფესორი	ასისტენტ პროფესორი	ასისტენტი	მოწვეული პერსონალი	ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი
სულ რაოდენობა	12	47	6	32	156	50
კაცი	5	23	4	15	58	30
ქალი	7	24	2	17	98	20



	აფილირებული პროფესორი	აფილირებული ასოცირებული პროფესორი	აფილირებული ასისტენტ პროფესორი	აფილირებული ასისტენტი
სულ რაოდენობა	6	11	3	15
კაცი	1	7	2	5
ქალი	5	4	1	10

მნიშვნელოვანი პროექტები/მიღწევები

❖ 2020 წლის ოქტომბერში ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის მიერ ჩატარდა თანამშრომელთა კმაყოფილების კვლევა, მიღებული შედეგების გაანალიზების საფუძველზე დადგინა, პერსონალის კმაყოფილების მაჩვენებელი 2020 წლის მონაცემებით შეადგენს 84 %-ს.

თანამშრომელთა კმაყოფილების დონე
84%

❖ უნივერსიტეტის პერსონალს 2019-2020 წლის განმავლობაში ჩაუტარდა ტრენინგები, რომლებიც მიმართული იყო მათი ცოდნისა და უნარების განვითარებაზე, ახალი უნარების გამომუშავებაზე და ასევე უნივერსიტეტის შიდა პროცედურების გაცნობაზე.

ტრენინგებში მონაწილე თანამშრომელთა რაოდენობა - 210

იურიდიული სამსახური

იურიდიული სამსახურის/იურისტის ძირითადი სამუშაო დატვირთვა მოიცავს, რექტორის აქტების (სტატუსის შეჩერება, შეწყვეტა, აღდგენა, მობილობა, აკადემიური შვებულება, აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის გამოცხადება, საკონკურსო კომისიის შექმნა, მივლინება, აკადემიური თანამდებობის დაკავება, დისციპლინური პასუხისმგებლობის შეფარდების შესახებ ბრძანებები და სხვ.), ხელშეკრულებების, მემორანდუმების შემუშავებას, დისციპლინური კომისიის სხდომებში მონაწილეობის მიღებას.

საანგარიშო პერიოდში მომზადდა 100 - მდე ბრძანება, ათეულობით ხელშეკრულება და მემორანდუმი. იურისტი ჩართული იყო აკრედიტაციისა და ავტორიზაციის პროცესებში, მოამზადა შესაბამისი დოკუმენტები და მონაწილეობდა ყველა პროგრამის აკრედიტაციის ვიზიტში. იყო უნივერსიტეტის წარმომადგენელი სასამართლოში. განახორციელა მონიტორინგი უნივერსიტეტის სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულებში, სადაც შეამოწმა სხვადასხვა დოკუმენტაცია და მოამზადა შესაბამისი ანგარიშები. ჩართულია უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის პიარ აქტივობებში. გასცა, სტუდენტებსა და პერსონალზე სამართლებრივი კონსულტაციები, როგორც ზეპირსიტყვიერად ასევე წერილობითი ფორმით. სტუდენტებისთვის გააკეთა პროექტი „იმიტირებული დისციპლინური კომისიის სხდომა“. განახორციელა ზემდგომი სტრუქტურული ერთეულების მიერ დაკისრებული სხვა მოვალეობები.

საზოგადოებასთან ურთიერთობის და მარკეტინგის სამსახური

2019 წელს სამსახურის ძირითადი აქტივობები მიმდინარეობდა რამდენიმე მიმართულებით, კერძოდ: სხვადასხვა საიმიჯო აქტივობები, ცნობიერების ასამაღლებლად, სოციალური მედიის გამართვა და მისი მუდმივი რეპორტინგი, სასკოლო პროექტები, სტუდენტური ცხოვრების აღბეჭდვა და საზოგადოებისთვის გაცნობა, სტატისტიკა და ივენთების ორგანიზება. ამასთან 2019 წლის მეორენახევარში მოხდა რებრენდინგის პროცესი და სრულად შეიცვალა ლოგო თავისი გაიდლაინით

სოციალური მედია, ვებ ადმინისტრირება, ივენთმენეჯმენტი, დიზაინი, სარეკლამო პრომოკ პროდუქტების დამზადება, კომუნიკაცია მედია საშუალებებთან

სასკოლო პროექტი: იმიტირებული პროცესი მოსწავლეებისთვის, სულხან-საბა ორბელიანის გაცოცხლება, მისი ნახატი რეგიონებში, სარეკლამო გვერდი ცნობარში და აჭარანეტში, პირველკურსელების წვეულება და გამოსაშვები საღამო, სოციალურ მედიაში პოსტინგი (საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებისთვის, ზოგადი #წარმატებული სტუდენტებისთვის), პროფესორების წარმოჩენა, პასუხი ნათესავების კითხვაზე რა უნდა გამოხვიდე, პროექტი როცა სწავლა გწყურია და ა.შ.

დაწვრილებით აქტივობების შესახებ კვარტლების მიხედვით:

დასახელება	თარიღი
კურსდამთავრებულების წვეულება 2019	სექტემბერი
პირველკურსელების წვეულება 2019	სექტემბერი
პირველკურსელების კვლევა 2019	სექტემბერი
სამაგისტრო პროგრამების პრომოუშენი	სექტემბერი
სამაგისტრო პროგრამების შედეგები	სექტემბერი
საბაუნის წარმატებული სტუდენტები	სექტემბერი
სასამართლო პრაქტიკა/ ტრენინგი	ოქტომბერი
კონფერენცია სახელმწიფო და ეკლესია	ოქტომბერი
ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდები	ოქტომბერი
ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კლინიკა	ოქტომბერი
სტუმრად პოლონელი პროფესორი	ოქტომბერი
ფილმის ჩვენება	ოქტომბერი
Economic Freedom	ოქტომბერი
ჰელოუინი	ოქტომბერი
რებრენდინგის პროცესი	ოქტომბერი-ნოემბერი
საბაუნის წარმატებული სტუდენტები	ოქტომბერი
შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო ლექცია	ნოემბერი
SOLA FORUM სოლა ფორუმი	ნოემბერი
ეკლესიის სოციალური სწავლება	ნოემბერი

პირველკურსელების შეხვედრები	ნოემბერი
კარირული განვითარების კურსი	ნოემბერი
ლათ. კათოლიკეთა იუბილე	ნოემბერი
თეოლოგიური წიგნის პრეზენტაცია	ნოემბერი
yes you can - კენჭაძე	ნოემბერი
სასწავლო ვიზიტი კომპანია ლიდერფუდში	ნოემბერი
კარიერის დაგეგმვა	ნოემბერი
ბიზნეს სოლუშენი	ნოემბერი
სამართლის კონფერენცია	ნოემბერი
მეოთხე ბიზნესის კონფერენცია	ნოემბერი
ელსას შეხვედრა	ნოემბერი
ელექტრონული მართველობა	ნოემბერი
სისხლის უანგარო დონორობა	ნოემბერი
კონტაქტი სარეკლამოებთან/დიზაინერებთან	ნოემბერი
საბაუნის წარმატებული სტუდენტები	ნოემბერი
პრინტ მარკეტინგული მასალებით უნივერსიტეტის უზრუნველყოფა	დეკემბერი
საჩუქრები პარტნიორებისთვის	დეკემბერი
ვატიკანის სახელმწიფო მდივანთან შეხვედრა	დეკემბერი

მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური 2020 წლის იანვარი-ივნისის პერიოდში აქტიურად იყო ჩართული სტრატეგიული გეგმის მიხედვით გათვალისწინებული აქტივობების დაგეგმვა განხორციელებაში.

ამ პერიოდის მანძილზე განახლდა და თავიდან დაიწერა უნივერსიტეტის ვებ-გვერდი, შეიქმნა 30 პრომო ვიდეო სხვადასხვა მიზნებისთვის, გააქტიურდა სოციალური მედია. საბაუნის შესახებ გაკეთდა 6 რეპორტაჟი და სხვადასხვა მედია პორტალზე დაიწერა 15ამდე სტატია.

აბიტურიენტებისთვის ჩატარდა ინგლისურისა და ისტორიის გაკვეთილები, ასევე ონლაინ საინფორმაციო შეხვედრები რომელსაც ჯამში 800 ამდე აბიტურიენტი დაესწრო.

განთავსდა ბანერები სხვადასხვა პორტალზე, რომელთაგან თვეში საბაუნის მთავარ საიტზე გადმოსვლები საშუალოდ 5 600 click შეადგენდა.

უწყვეტი განათლების ხელშეწყობის მიზნით დაიგეგმა და განხორციელდა რამდენიმე სერტიფიცირებული ტრენინგი პროფესიული განვითარების ცენტრთან და სტუდენტურ საქმეთა სამსახურთან ერთად, სადაც ჯამში გაიცა 82 სერტიფიკატი, ტრენინგებს ესწრებოდა 146 მონაწილე (სტუდენტი, სკოლის მოსწავლე, კურსდამთავრებული).

მემორანდუმი გაფორმდა ონლიან უცხოენის შემსწავლელ ცენტრთან, რომლის მეშვეობითაც საბაუნის სტუდენტებს საშუალება ეძლევათ უცხოენა შეისწავლონ 50%იანი ფასდაკლებით.

ჩატარდა შეხვედრები სკოლის მოსწავლეებთან.

ქვეყანაში შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე ყველა შეხვედრამ და ტრენინგმა გადაინაცვლა ონლაინ, შესაბამისად ინტენსიურად განხორციელდა როგორც დახურული ასევე ღია FB LIVE შეხვედრები.

ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის სამსახური

ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის სამსახურის მიერ განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

- სასერვეროში სერვერების 90% გადავიდა Windows Server 2012 – 2016 -დან Windows Server 2019-ზე;
- Wifi რომელიც იყო ძველი სტანდარტის Unifi Long Range (8 ცალი) რომელიც საკმარის მომხმარებლებს ვეღარ უძლებდა შეიცვალა და დაყენდა Unifi nanohd (8 ცალი) რომელიც მომავალი რამოდენიმე წლის განმავლობაში ნებისმიერ ტელეფონს შესაბამისი სტანდარტით მოემსახურება. დაემატა წერტილები რადგან ზოგ ადგილას უჭირდა Wifi-ს მუშაობა და ვიყიდეთ ასევე შედარებით ძლიერი Unifi SHD რომელიც დადგა ჰოლში შემოსასვლელში და 405 აუდიტორიაში სადაც ყველაზე მეტი ხალხი იყრის ხოლმე თავს.
- გაუმჯობესდა 5 თანამშრომლის კომპიუტერის მყარი დისკი და დაყენდა 10-ჯერ უფრო სწრაფი, შესაბამისად აღარ შეფერხდებიან მუშაობისას.
- ქსელში დალაგდა არეული წერტილების 30%.
- აუდიტორიებში დამონტაჟდა ლეპტოპები. ნაცვლად ლეპტოპების ტარებისა პირველი სართულიდან რამაც ხელი შეუწყო პრობლემების შემცირებას აუდიტორიებში ლექციის მსვლელობისას. შეერთდა სათითაოდ ლეპტოპზე პროექტორის და ინტერნეტის კაბელი და კავშირი ახლა უკვე უწყვეტია. სანამ ეს ყველაფერი გაკეთდებოდა კავშირის წყვეტა ხდებოდა პროექტორსა და ლეპტოპს შორის, ასევე ლეპტოპსა და ინტერნეტს შორის. ამავდროულად ეს ლეპტოპები რაც დადგა აღიჭურვა უკეთესი მყარი დისკით რომელიც უზრუნველჰყოფს მათ გამართულ მუშაობას.

უნივერსიტეტის ტერიტორიაზე უსადენო ინტერნეტის მიწოდება ხდებოდა ძველი (802.11n) ტექნოლოგიის გამოყენებით, რომელიც შეიცვალა ახალი (802.11ac) ტექნოლოგიით, ასევე დაემატა რამოდენიმე წვდომის წერტილი კავშირის გასაძლიერებლად. გაუმჯობესდა თანამშრომლების კომპიუტერები და ძველი მყარი დისკის მაგივრად 10-ჯერ სწრაფი მყარი დისკები დაყენდა მათ კომპიუტერებზე. მოხდა ქსელის რეორგანიზაცია. დამონტაჟდა ლეპტოპები აუდიტორიაში. შეძენილ იქნა ლეპტოპები ბიბლიოთეკისთვის და UPS-ები თანამშრომლებისთვის.

ასევე წლის განმავლობაში ვახდენდით უნივერსიტეტის მომარაგებას მატერიალური რესურსებით (კომპიუტერი, პერიფერია, კარტრიჯები). პერიოდულად სერვერების ასლის აღებას მონაცემების დაკარგვისგან თავის დაცვის მიზნით. ახალი პროგრამული განახლებების გამოსვლისას მათ შეფასებას თუ რამდენად საიმედო იყო და მათ დანერგვას.

პროექტების მართვა

აღნიშნულ პერიოდში განხორციელდა აქტივობები რამოდენიმე მიმართულებით:

1. რეგიონებში ვიზიტი საბაუნის ლექტორებთან ერთად.
2. ერთთვიანი კურსი თბილისის სკოლის მოსწავლეებისათვის.
3. მასტერკლასები სამოქალაქო განათლების გაკვეთილებზე თიმსის საშუალებით.
4. ZOOM ტრენინგები, როგორც საბაუნის, ასევე მოწვეული ლექტორების მიერ ჩატარებული
5. Facebook ჩართვები
6. ტრენინგები პედაგოგებისათვის.

საანგარიშგებო პერიოდის პირველ ეტაპზე ვიზიტი განვახორციელეთ ვიზიტი 3 ქალაქიში: ახალციხე, გურჯაანი, თელავი.

ახალციხეში ჩატარებულ საჯარო ლექციას დაესწრო 130-მდე სკოლის მოსწავლე. მათ მოისმინეს ბატონი გიორგი გორაძის ლექცია თემაზე „სახელმწიფო მოდელები“. ლექცია გაგრძელდა 90 წუთი.

პარალელურად დავგეგმე და განვახორციელე ერთთვიანი კურსი

გურჯაანში შეხვედრას დაესწრო 50-მდე სკოლის მოსწავლე. მათ ტრენინგი ჩაუტარა ბიზნესის ფაკულტეტის ლექტორმა, ბატონმა დიმიტრი კობახიძემ. ლექცია გაგრძელდა 2 საათამდე. ტრენინგის დასასრულს აქტიურ მონაწილეებს გადაეცათ სპეციალური სასაჩუქრე ნაკრები.

თელავში შეხვედრა შედგა სამართლის ფაკულტეტის ლექტორთან, ბატონ ნიკა სადრაძესთან. მან მოსწავლეებთან ისაუბრა პროფესია „ადვოკატის“ შესახებ. შეხვედრას 80მდე სკოლის მოსწავლე ესწრებოდა. დღის ბოლოს აქტიურმა მონაწილეებმა მიიღეს საბაუნის ბრენდირებული სასაჩუქრე ნაკრები.

თელავის შემდგომ დაგეგმილი ვიზიტები ვერ განხორციელდა covid 19 პანდემიიდან გამომდინარე. შესაბამისად, ქალაქში ვიტიტები ჩავანაცვლეთ ონლაინ აქტივობის კლასებში „ მასტერკლასები სამოქალაქო განათლების გაკვეთილებზე“. ჩატარდა 30მდე გაკვეთილი საქართველოს სხვადასხვა ქალაქის სკოლებისათვის. გაკვეთილები ჩაატარეს საბაუნის ლექტორებმა, შემდეგ თემებზე: პროფესიული ორიენტაცია, სახელწმიფო მოდელები, მეწარმეობა, ადამიანის უფლებები და საერთაშორისო ურთიერთობები.

დაიგეგმა და განხორციელდა ZOOM ტრენინგები, რომლებიც ჩაატარეს როგორც საბაუნის, ასევე მოწვეულმა ლექტორებმა, შემდეგ თემებზე: კრეატიული აზროვნება, პროფესია „ადვოკატი“, საჯარო გამოსვლები და სხვა.

დაიგეგმა და განხორციელდა 2 ტრენინგი პედაგოგებისათვის შემდეგ თემებზე: მეწარმეობა და COVID19-ის გაკვეთილები.

აკადემიური კვლევის შეფასების და განვითარების სამსახური

იმის გათვალისწინებით, რომ სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების მენეჯერის საშტატო ერთეული ახლადშექმნილი სტრუქტურული ერთეულია, შემუშავდა სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის დაგეგმვის, შეფასების და ხელშეწყობის წესი და თანმდევი დანართები.

ჩამოყალიბდა აკადემიური კვლევისა და განვითარების ხელშეწყობის საკოორდინაციო საბჭო.

სამეცნიერო-პუბლიკაციების პოპულარიზაციის მიზნით, მიმოწერა დაიწყო Heinonlineo.org, researchegate.net და academia.edu-ის წარმომადგენელობასთან/ოფისებთან.

მარტისა თვეში თითოეული ფაკულტეტის აფილირებულ პერსონალსა და კვლევითი ინსტიტუტების დირექტორებს ეთხოვათ 2019-2020 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიშის შევსება და გამოგზავნა.

აფილირებულ აკადემიურ პერსონალს ეთხოვა საერთაშორისო სამეცნიერო პორტალებზე (Academia.edu, ssrn.com, orcid.org, research.gate.net) რეგისტრაციის გავლა და მათი სამეცნიერო ნაშრომების ატვირთვა.

წარმოდგენილი ანგრიშების გაცნობის შემდეგ აღმოჩნდა მცირე უზუსტობები. ხარვეზების გამოსასწორებლად ანგარიშები დაუბრუნდათ სათანადო პირებს და მიეცათ დრო მათ გამოსასწორებლად.

საბოლოო ანგარიშები გაანალიზებული იქნა და ფაკულტეტის დეკანებს მიეწოდათ ინფორმაცია/დასკვა. ასევე განისაზღვრა მომავალი სემესტრის სამოქმედო გეგმები.

მიღებული შედეგების გაანალიზების შედეგად, დღის წესრიგში დადგა აკადემიური პერსონალის აკადემიური კვლევის შეფასების ქულების გადახედვის აუცილებლობა. მცირედი ცვლილებები იქნა შეტანილი ცალკეული კომპონენტისათვის ქულების მინიჭების კუთხით.

ივლისის თვეში აფილირებულ პერსონალსა და კვლევითი ინსტიტუტების დირექტორებს ეთხოვათ 2019-2020 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის და შესაბამისად, წლიური ანგარიშების წარმოდგენა. დაეგზავნათ შესაბამისი ანგარიშის დანართები, აკადემიური პერსონალის აკადემიური კვლევის შეფასების განახლებული დანართი.

ამჟამად, ველით მათგან ანგარიშების წარმოდგენას.